პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 აპრილი 3 № 78 (16815) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

KOMUNISTI — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

3 აპრილი გეოლოგის დღეა

ჭიათურის გეოლოგიურ-საძიებო პარტიამ მეათე ხუთწლედის პირველი წელი მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრა და საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა.

მეათე ხუთწლედის მეორე წლისათვისაც გადიდებული ვალდებულებები იკისრეს — მათ გადაწყვიტეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 ათასისა გაბურღონ 18 ათასი მეტრი და 1.800 მეტრზე ჩაატარონ სამთო სამუშაოები.

სურათზე: ჭიათურის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის მთავარი გეოლოგი ასლან თურმანიძე და ტექნიკოსი-გეოლოგი ლეილა მოდებაძე.

ა. მაჭავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მილიონთა შემოქმედება

ცამოთვლილია, რომ ჩვენს ქვეყანაში მხატვრული თვითმოქმედების მრავალფეროვან კოლექტივებში 25 მილიონამდე მონაწილეა გაერთიანებული, ხოლო თვითმოქმედი კოლექტივების მიერ გამართულ კონცერტებსა და სპექტაკლებს ყოველწლიურად 600 მილიონზე მეტი მაყურებელი ესწრება. ეს ორი ციფრი, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო, საუკეთესოდ ადასტურებს, რომ მხატვრული თვითმოქმედების სახით საქმე გვაქვს მილიონთა შემოქმედებასთან, მილიონთა ხელოვნებასთან, რომლის ზემოქმედება მშრომელთა გონებასა და გონებაზე, მათს ესთეტიკურ აღზრდა-განვითარებაზე უდიდესია.

ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის! — ასეთია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეობის უპირველესი დევიზი. მაგრამ „ადამიანისათვის ზრუნვა არ მთავრდება და არც უნდა მთავრდებოდეს ქარხნის ჭიშკრიდან გასვლისას. — თქვა სსრ კავშირის პროფესიული კავშირების ამასწინანდელ XVI ყრილობაზე გამოსვლისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — ჩვენი სოციალისტური პოლიტიკის უდიდესი სფეროა დაკავშირებული საბჭოთა ადამიანების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებასთან, მათი ჯანმრთელობის და დასვენებისათვის ზრუნვასთან, იმასთან, რომ მშრომელებსა და მათს ოჯახებს შეეძლოთ გონივრულად, საკუთარი თავისა და საზოგადოების სასარგებლოდ იყენებდნენ თავისუფალ დროს. ტექნიკური შემოქმედება, ფიზკულტურა და სპორტი, მხატვრული თვითმოქმედება — ყოველივე ეს მილიონთა მოთხოვნილებად იქცა“.

ხალხის შემოქმედების, მილიონთა ხელოვნების ზრდა-განვითარება და აყვავება საბჭოური ყოფა-ცხოვრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთვისებაა. სოციალიზმმა, საბჭოთა ეპოქამ სულიერი ფასეულობებისაკენ ხალხის უფართოეს მასებს მარტო გზა კი არ გაუხსნა, არამედ თვითონ ახინი აქცია ამ უდიდესი ხელოვნური უშუალო შემოქმედად. სოციალიზმის დროს ყოველგვარი პირობებია შექმნილი იმისათვის, რომ რაც შეიძლება სრულად გამოვლინდნენ ხალხური ტალანტები, ფართო ხარბიელი მიეცეს ხალხის უმდიდრეს და მრავალფეროვან შემოქმედებას. ნათქვამის დასადასტურებლად და სათანადო მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. ამაზე ნათლად მეტყველებს მშრომელთა თვითმოქმედ მხატვრული შემოქმედების პირველი სრულიად საკავშირო ფესტივალი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს ეძღვნება.

უაღრესად ფართო და კეთილშობილურია მიზნები და ამოცანები, რომლებიც მილიონთა ხელოვნების ამ დიდი დათვალიერების წინაშეა დასახული. კერძოდ, ეს არის ახალი მხატვრული კოლექტივების შექმნა-ჩამოყალიბება, ხალხური შემოქმედების მასობრივი შემდგომი აღმავლობა, ცხოვრებასთან მისი კავშირის განმტკიცება, საბჭოთა ადამიანების მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესება, თვითმოქმედი ხელოვნების ყველა ჟანრისა და სახეობის განვითარება, მისი მხატვრულ-იდეური, საშემსრულებლო დონის ამაღლება, თანამედროვეობის ამსახველი თემებით და ნაწარმოებებით რეპერტუარის გამდიდრება-გამრავალფეროვნება, სახალხო კოლექტივებისათვის საშეფო დახმარების გაწევა, ამ საქმიანობაში შემოქმედებითი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლების ფართოდ ჩაბმა და, ბოლოს, თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივის მატერიალური ბაზის გაუმჯობესება-განმტკიცება.

უკან დარჩა ფესტივალის პირველი და მეორე ტური, მიმდინარეობს სახალხო ტალანტების ამ დიდი დათვალიერების მესამე — დამამთავრებელი ეტაპი. ფესტივალის პროგრამით ჩვენს რესპუბლიკაში გამართული ასობით კონცერტები და სპექტაკლები, კონკურსები, ფესტივალები, გამოფენები და სხვ. იმაზე მეტყველებს, თუ რაოდენ ფართოა ხალხური ხელოვნების მასშტაბები და დიაპაზონი, რაოდენ მაღლდება და სრულყოფილი ხდება თვითმოქმედი ხელოვნების მოყვარულთა საშემსრულებლო ოსტატობა. მაგრამ ფესტივალის პირველი ორი ტურის შედეგების შეჯამებისას გამოჩნდა ბევრი არსებითი ნაკლოვანება, როგორც მის ორგანიზაციულ მხარეში, ისე მხატვრული შემოქმედების აზრით.

არაფერით არ შეიძლება იმის გამართლება, რომ ფესტივალში ძალიან მცირეა თბილისის მხატვრული კოლექტივების ხვედრითი წონა, სათანადოდ არ ჩანს სამხრეთ ოსეთი, სუსტად იმუშავეს ახალციხის, რუსთავის, გორის, თელავის ზონების საოლქო საორგანიზაციო კომიტეტებმა. ყოველად შეუწყნარებლად უნდა მივიჩნიოთ, რომ ფესტივალის მიმდინარეობის პერიოდში დაიშალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რკინიგზელთა სახლის სიმფონიური ორკესტრები.

ფესტივალის განვლილმა ეტაპმა გამოაჩინა, რომ მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა რეპერტუარის იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებას; მინიმუმამდე მცირეა ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც ახახული იქნება ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, მუშათა კლასის, კოლმეურნეგლეხობისა და საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრება, შრომა; ბევრი კოლექტივის რეპერტუარი გადატვირთულია დაბალი გემოვნების ნაწარმოებებით; ნაკლებად არის წარმოდგენილი მომძე რესპუბლიკების ხალხთა შემოქმედების ნიმუშები.

უფრო მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს ხაკითხს, თუ ვინ მონაწილეობს ფესტივალში, რამდენად ფართოა მისი ინტერნაციონალური ხასიათი და შემადგენლობა. ამოცანა ის არის, რომ მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებში უფრო ფართოდ ჩავაბათ მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა — რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები, უნდა განვამტკიცოთ ამ კოლექტივების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უნდა გავაფართოოთ პროფესიული ოსტატობის შეუფობა თვითმოქმედი კოლექტივებისადმი.

სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა პროფკავშირთა XVI ყრილობაზე და სხვა მნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტები საბჭოთა ხალხს რაზმავენ და ახალი საგმირო საქმეებისათვის შთააგონებენ. ჩვენი დღეების ჰეროიკა დიდ ამოცანებს უსახავს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, როგორც პროფესიულ ოსტატებს, ისე ხალხური ხელოვნების წარმომადგენლებს.

ოქტომბრის იუბილესათვის მზადების დღეებში ხელოვნების ფრონტის მუშაკებისათვის სახელმძღვანელო უნდა იყოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითება:

„მკაფიოდ ავსახოთ საბჭოთა ადამიანის შრომითი და პოლიტიკური აქტივობა, კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების განხორციელებისათვის, პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის თავდადებული შრომის უდიდესი სოციალური მნიშვნელობა, ყოველნაირად გავუწიოთ პროპაგანდა პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის და სოციალურ პოლიტიკას“.

საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის ამასწინანდელ კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყოველი საბჭოთა შემოქმედის თანამედროვე ნაწარმოები უნდა შეეფერებოდეს სოციალისტური რეალიზმის, პარტიულობის, ხალხურობის, ლიტერატურისა და ხელოვნების კლასობრიობის საყოველთაოდ ცნობილ და ხახელმძღვანელოდ აღიარებულ პრინციპებს. ეს სიტყვები შეგვიძლია თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების მისამართითაც გავიმეოროთ. ამ მიმართულებით უნდა წარმართოთ მთელი მუშაობა მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო ფესტივალის დასკვნითს — შესამე ეტაპზეც, რათა ჩვენი რესპუბლიკის ხალხური შემოქმედება ღირსეულად წარსდგეს საბჭოების კვეყნის თვითმოქმედი ხელოვნების დიდ დღესასწაულზე, რომელიც ყველს შემოდგომაზე კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართება.

მთელი ამ საქმის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენად ოპერატიულად უხელმძღვანელებენ ხალხურ შემოქმედებას ჩვენი პარტიული ორგანიზაციები — საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები.

ღირსეული შეხვედრა — დიად იუბილეს

არცერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით, მტკიცედ დავამკვიდროთ დავალებათა უთუოდ შესრულება!

მხარს უჭერენ ყუბანელთა თაოსნობას

მაღალი შრომითი მიღწევებით ეგებებიან დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს ჩვენი რესპუბლიკის მიწათმოქმედნი. მხურვალედ გამოეხმაურნენ კრასნოდარის მხარის სოფლის მშრომელთა მოწოდებას, რომ მოიწონონ მარცვლეულის, მზესუმზრასს, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულისა და სხვა სახოფლო-სამეურნეო კულტურების უმაღლესი მოსავალი. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამოწმებენ ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებებს და ახალი შესაძლებლობების, წარმოების რეზერვების გათვალისწინებით უფრო გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ.

მეტი მაღალხარისხოვანი მარცვლეული

ყითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების ედანოვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობა, რომელიც იყენებს თავთავიანთა მოვლა-მოყვანის პროგრესულ მეთოდებს, ზუსტად იცავს აგროწესებს, წლითიწლობით მოიცვლეულის უხვ მოსავალს იწევს. შარშან ყოველ 1.283 ჰექტარზე, რომლებიც ამ კულტურებისათვის იყო გამოყოფილი, მოიწიეს 42,6 ცენტნერი, აქედან ხორბალი — 45,6 ცენტნერი. დამკვრელური შრომის მაგალითი აჩვენა № 2 კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც ვ. გოგოშვრი და ა. ბოსტოღანაშვილი ხელმძღვანელობენ. ა. ბოსტოღანაშვილმა გაბიროვნებულ ნაკვეთზე მოიწია 49,1 ცენტნერი ხორბალი ჰექტარზე.

„რეკორდები ნორმად ვაქციოთ“ — ამ დევიზით გააჩაღეს შეჯიბრება კოლმეურნეობის მზეგელ-მთესველებმა წლეულსაც. 1560 ჰექტარი მზრალად ნახნავიდან 1248 ჰექტარი ხორბლისათვის გამოყვეს, დათესეს მხოლოდ პირველი კლასის ჯიშიანი თესლი. მიწათმოქმედებმა ვალდებულება იკისრეს ორგანიზებულად მოემზადონ მოსავლის აღებისათვის, იგი 8-10 დღეში ჩაატარონ, სახელმწიფო ბეღლებში დაამბინავონ 5 ათასი ტონა ხორბალი — გეგმაზე თითქმის ერთიორად მეტი.

კიდევ უფრო გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს № 2 ბრიგადის მშრომლებმა. **ყუბანელ მზვნელ-მთესველთა მაგალითისამებრ მათ ვალდებულება იკისრეს საშუალოდ 846 ჰექტარ მზრალზე მოიწონონ ხულ ცოტა 17 ცენტნერი მარცვლეული, აქედან ხორბალი — ხულ ცოტა 50 ცენტნერი.**

ახლა მეურნეობაში გაჩაღდა მინდვრის სამუშაოები. უკვე დამთავრდა მზესუმზირას, საკვები ჭარხლის, მრავალწლოვანი ბალახების თესვა. ვრფიკის გასწრებით მიმდინარეობს სამარცვლე და სასილოსე სიმინდის თესვა, ვენახების კულტივაცია, რომლებიც 100 ჰექტარით გაფართოვდა.

ჩვენი პასუხია შთაგონებული შრომა

აბაშის რაიონის მესიმინდეებისათვის უკანასკნელი ოთხი წელი დიდი მიღწევების წელი იყო სამარცვლე სიმინდის წარმოებისა და დამზადების გადიდებაში. 1972 წელს 5.396 ჰექტარზე მოიწიეს 7.858 ტონა. აბაშელებმა, რომლებსაც არ გაუფართოებიათ სიმინდის ნათესები, ყოველ ჰექტარზე უმაღლეს მოსავლიანობას მიაღწიეს შარშან და 5 ათას ჰექტარზე 20 ათასი ტონა მარცვლეული მოიწიეს. ეს მიღწეული იყო მეურნეობების, ბრიგადების, რგოლების, მესიმინდე ოსტატების ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგად, უნარიანი მეურნეობრიობის, ყველა აგროტექნიკური ღონისძიების ზუსტად დაცვის მეოხებით. სამშობლომ დიდად დააფასა რაიონის მიწათმოქმედთა შრომა. 1976 წლის შეჯიბრების შედეგებისათვის რაიონი დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

მაგრამ მესიმინდეებს ესმით, რომ მიღწეულს არ უნდა დასჯერდნენ. საჭირო აკლავაც გამოავლინონ ახალი შესაძლებლობანი მოსავლიანობის გადიდებისათვის. დაუჭირეს რა მხარი ყუბანელ მიწათმოქმედთა ინიციატივას, აბაშელებმა ვალდებულება იკისრეს წელს იმავე ფართობზე, როგორც შარშან, მოიწონონ 22-23 ათასი ტონა სიმინდის მარცვალი.

ახალი ვალდებულებანი იკისრეს სოფელ ტყვიარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა. აქ გადაწყვეს ნათესების გულდასმით მოვლის მეოხებით 290 ჰექტარ სიმინდის ყანაში ხაშუალოდ მოიწონონ 66 ცენტნერი მარცვლეული გეგმით გათვალისწინებული 37,9 ცენტნერის ნაცვლად.

კოლმეურნეობაში შექმნილია ნათესების მოვლა-მოყვანის მექანიზებული რგოლი, რომელსაც მოწინავე მექანიზატორი რ. მიგინეშვილი ხელმძღვანელობს. მან იკისრა 110 ჰექტარზე საშუალოდ მოიწიოს 75 ცენტნერი სიმინდის მარცვალი. (საინფორმრმ).

16 აპრილს კომუნისტური შაბათობაა

კერამიკოსთა წვლილი

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). კერამიკული კომბინატის (დირექტორი თ. აგლაძე) კოლექტივმა გადაწყვიტა კომუნისტური შაბათობის დღე 16 აპრილი მაღალნაყოფიერი შრომით აღნიშნოს. საწარმოში 12 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ, მათ შორის 2 ათასი მანეთისას დაზოგილი ნედლეულით, რაც 3.500 მანეთით აღემატება საწარმოს ყოველდღიურ გეგმას.

ლენინური შაბათობის დღისათვის სამშენებლო კერამიკოსთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც ა. მენთეშაშვილი ხელმძღვანელობს, გადაწყვიტა გეგმის გადამეტებით გამოუშვას 100 ერთეული სამშენებლო ნახევარფაიფურის ნაწარმი. ამ დღისათვის ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მოწონაგე მუშებმა.

მასობრივი ენთუზიაზმი

ხობი. (საკ. კორ.). ხობის მშრომელებს ლენინური შაბათობის ჩატარების კარგი ტრადიცია აქვთ. ისინი ამჟამადაც ფართოდ გამოეხმაურნენ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მოწოდებას ვ. ი. ლენინის დაბადების 107-ე წლისთავის აღსანიშნავად 16 აპრილს მოაწყონ შაბათობა.

დაზუსტდა შაბათობის მონაწილე საწარმო-დაწესებულებების, მშენებლობის, ტრანსპორტის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა სიები, ყველგან შეიქმნა სამუშაოთა ხელმძღვანელობის შტაბები. შემუშავდა მუშაობის გრაფიკი.

წინასწარი მონაცემებით 9 ათასი კაცი უშუალოდ ძირითად საქმეს გააკეთებს, იმუშავებს ჩაის პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებში, საწარმო-დაწესებულებებში, მინდვრებზე. დაზოგილი მასალებიდან ხუთწლედის საუბილეო წლის ფონდში 18 ათასი მანეთი გადაირიცხება.

ერთსულოვნად

ცხინვალი. (საკ. კორ.). 16 აპრილს ვ. ი. ლენინის დაბადების 107-ე წლისთავის და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის იუბილეადმი მიძღვნილ კომუნისტურ შაბათობაზე ერთხულოვნად გამოვლენ ცხინვალელი მელუდეები. მათი ვალდებულებაა ამ დღეს გამოუშვან 18 ათასი ბოთლი ლიმონათი, 24 ათასი ბოთლი ლუდი, სულ 3.500 მანეთის საერთო პროდუქცია და მეათე ხუთწლედის ფონდში გადარიცხონ ათასი მანეთი.

ზეიმის მზვერავთა დღესასწაული

1 აპრილს მოსკოვში გაიმართა გეოლოგის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. დარბაზს „ოქტომბერში“ შეიკრიბნენ წარმოების ნოვატორები, მეცნიერები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კრებაზე გამოვიდა სსრ კავშირის გეოლოგიის მინისტრი ე. ა. კოზლოვსკი. მან აღნიშნა, რომ ხუთწლედის დამდეგიდან წიაღის მზვერავებმა სასარგებლო წიაღისეულის, მათ შორის — ნავთობისა და გაზის ახალი საბადოები აღმოაჩინეს, გაფართოებულია ბევრი მოქმედი საბადოს პერსპექტივები. სულ უფრო მეტად ვითარდება წიაღის მზვერავთა შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

(საკ. კორ.).

2 აპრილი

„პრავდის“ ფურცლებზე

მოწინავე წერილში — „სრულყოთ მუშაობის სტილი“ — ნათქვამია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ღრმასეულად რომ აფასებს პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში მიღწეულ წარმატებებს, პარტიული, საბჭოთა სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს იმ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტაც საშუალებს მოგვცემს კიდევ უფრო სწრაფი ტემპით ვიარით წინ. ამის მნიშვნელოვანი პირობაა მუშაობის სტილის შემდგომი სრულყოფა.

„პარტიული ორგანოების მუშაობის სტილის სრულყოფა მჭიდროდ არის დაკავშირებული კოლეგიალობის ყოველმხრივ განმტკიცებასთან. როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ამ პრინციპის მკაცრად დაცვა ხელს უწყობს კვალიფიციური გადაწყვეტილებების მიღებას, მათს წარმატებით განხორციელებას და სუბიექტივიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ხაიმედო გარანტიაა ...

ახლანდელ პირობებში კიდევ უფრო იზრდება მომთხოვნელობა ხელმძღვანელი კადრების მუშაობის სტილისადმი. ისინი ორგანულად უნდა ახამბდნენ პარტიულობა საქმის საფუძვლიან ცოდნასთან, დისციპლინიანობას ამოცანების გადაწყვეტისადმი შემოქმედებით მიდგომასთან, მომთხოვნელობას ადამიანებთან გულისხმიერ დამოკიდებულებასთან. ამით განისაზღვრება კადრების შერჩევის, მათი აღზრდის ძირითადი კრიტერიუმები“.

სათაურით „შაბათობის ხაცნობი“ გაზეთი ბეჭდავს კორესპონდენციებს ჩვენს ქვეყანაში ლენინური შაბათობასთვის მზადების შესახებ.

ერთ-ერთ კორესპონდენციაში ნათქვამია: „წინასწარი მონაცემებით კომუნისტურ შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის ორ მილიონზე მეტი მშრომელი. ამ დღეს, როგორც თბილისიდან „პრავდის“ კორესპონდენტი გ. ლებანიძე გადმოგვცემს, გამომუშავებული იქნება 17 მილიონ მანეთზე მეტი თანხის სხვადასხვა პროდუქცია“.

„პარტიული ცხოვრების“ განყოფილება წარმოდგენილია სკკპ ტრუნოვის რაიკომის მდივნის ა. გონეჩნენკოს სტატიით „გამომცდელია მინდორი“.

ჩვენი ნორჩი თაობის აღზრდის დიდმნიშვნელოვან პრობლემაზე საუბრობს ვლადიმერ ამლინსკი წერილში „ძნელი, მშვენიერი ასაკი“, რომელიც დაბეჭდილია რუბრიკით „მწერლის შენიშვნები“.

თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე ბევრ საინტერესო წერილსა და ინფორმაციას აქვეყნებს გაზეთი მეხუთე გვერდზე.

მეცნიერები მუშაობენ მოსკოვის ოლქის ბუნების დაცვის გენერალური სქემის შექმნაზე, რაზედაც მკითხველს მოუთხრობს „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტი ვ. ჩერტკოვი წერილში „არის ხანუკვარი მინდორი“ (რუბრიკა — „ბუნების ხიყვარულით“).

მკითხველს უთუოდ დაინტერესებს წერილები, რომლებიც დაბეჭდილია რუბრიკებით: „მკვლევარის გვერდით“, „ეუბრუნდებით თემას“, „ყოველდღიურ საქმეთა რომანტიკა“, „ტექნიკის ხიახლენი“ და სხვა.

ПРАВДА

ჩვენს დიად საშობლოში —

ეძღვნება ხალხთა მეგობრობას

ფლეულს მაისიდან ნოემბრამდე ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კულტურისა და დასვენების პარკებში, კლუბებში მოეწყობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი მასობრივი თეატრალიზებული დღესასწაულებისა და წარმოდგენების ფესტივალი. ამის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ.

ეს დღესასწაულები და წარმოდგენები მოგვითხრობს დიდი ოქტომბრის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, ჩვენი სამშობლოს გმირულ ისტორიას, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას.

ფესტივალის შედეგებს წლის ბოლოს შეაჯამებენ. დღესასწაულებისა და წარმოდგენების შეფასებისას გათვალისწინებულ იქნება მათი მასობრიობა, თემატიკის აქტუალობა. ფესტივალის აქტიური მონაწილენი იქნებიან ხუთწლედის გმირები — წარმოების მოწინავენი და ნოვატორები, შრომისა და ბრძოლის ვეტერანები, შემოქმედებითი კოლექტივები. (საკდესის კორ.).

ვაჯიკეთის სსრ. გისარის ასტრონომიულ ობსერვატორიაში ამოქმედდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ასტროფიზიკის ინსტიტუტის ეონოსფერული ლაბორატორიის ახალი სამეცნიერო კომპლექსი „ჰორიზონტი“. სუსტი მეტეორიტების რადიოლოკაციისათვის ახალი საანტენო სისტემის ზომები და დაშვებული შესაძლებლობა საშუალებას იძლევა მეტეორიტების ნაკადზე დაკვირვება აწარმოონ რამდენიმე საათის განმავლობაში.

გისარის ასტრონომიული ობსერვატორია მეტეორიტების კვლევის თანამედროვე საშუალებების კონცენტრაციით ერთ-ერთი დიდი სამეცნიერო დაწესებულებაა ჩვენს ქვეყანაში.

სურათზე: ასტრონომიულ დანადგარს (ვაუ) ამზადებენ ღამის დაკვირვებებისათვის.

რ. ნეშელეშვილის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

კინოდოკუმენტალისტები — სახელოვანი იუბილესათვის

სოფხეთის უდიდეს მშენებლობებსა და საწარმოებს გვიჩვენებს ერევნის კინოდოკუმენტალისტთა ახალი ნამუშევარი „ზუთწლედის ნაბიჯები“. კინოლენტი აგვიწერს სომხეთის ატომური ელექტროსადგურის, რკინიგზის ახალი მაგისტრალებისა და სამეცნიერო ცენტრების ყოველდღიურობას, იწყებს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ფილმების ციკლს.

— ავტორების ყურადღების ცენტრშია ჩვენი თანამედროვე, ახალი ცხოვრების შემოქმედი და მშენებელი, — თქვა დოკუმენტური და ქრონიკული ფილმების სტუდიის დირექტორმა რ. კარაპეტიანმა. — ამ დღეებში დამთავრდა გადაღება კინოლენტისა — „სტეპანანთა ოჯახი“. იგი გვაცნობს მუშათა დინასტიას, რომლის 13 წარმომადგენელი მუშაობს ლენინაკანის საქსოვ კომბინატში.

შეიქმნება აგრეთვე ფილმები „ოქტომბრის გზით“ — სომხური მეცნიერების წარმატებათა შესახებ, „რაზდანის ხეობა“ — მდინარე რაზდანის გასწვრივ მდებარე ქალაქებისა და სოფლების აყვავების შესახებ.

(საკდესის კორ.).

ერევანი.

გამოიცა რესპუბლიკებში

ბაქო. 1 აპრილი. (საკდესი). რესპუბლიკურმა სახელმწიფო გამომცემლობა „აზერნეშრმა“ აზერბაიჯანულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული 55-ტომიანი კრებულის მე-11 ტომი. გამოცემას ამზადებს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი.

ვილნიუსი. 1 აპრილი. (საკდესი). რესპუბლიკურმა გამომცემლობა „მინტისმა“ ლიტვურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 55-ტომიანი სრული კრებულის მესამე ტომი. ამ გამოცემას უშვებს ლიტვის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი.

3 აპრილი გეოლოგის დღეა

წიაღის დიდი რეზერვები

საქართველოში ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედში ჩამოყალიბდა გეოლოგიური სამმართველო, რომელმაც ქმედითად მოჰკიდა ხელი სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების ძიებას. შედარებით მცირე დროში ქართველ გეოლოგთა მიერ აღმოჩენილია სასარგებლო წიაღისეულის დიდი საბადოები და დაძებულა ზოგიერთი წინათ ცნობილი საბადო, რომელთა მარაგები ბევრად გაიზარდა. გამოვლენებული მინერალური ნედლეულის ბაზის საფუძველზე ჩამოყალიბდა ჩვენი მზარდი სამთო მრეწველობა.

ბოლო ათეულ წლებში გეოლოგიამ წმინდა საბუნებისმეტყველო აკადემიური მეცნიერების ჩარჩოებიდან გაბედულად გადმოაბიჯა და სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად იქცა. ამიტომ მასში კარგად არის შერწყმული ღრმა მეცნიერული ძებნა და პრაქტიკული საქმიანობა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ობიექტია ჭიათურის მანგანუმის საბადო. მსოფლიოს მნიშვნელობის ამ უნიკალური საბადოს მარაგი წინათ სულ ტალ იყო დაზვერილი, რაც აფერხებდა არსებულ მაღაროთა რეკონსტრუქციას და მადნის მოპოვების შემდგომ ზრდას.

ამჟამად საბადოს დეტალური ძიება ძირითადად დამთავრებულია, რამაც საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვეზარდა და დაგვეზუსტებინა მისი მარაგი. საბადოს ძიებისას ადრე მტაცებლურად დამუშავებულ ადგილებში გამოვლინდა მაღალხარისხოვანი მადნების დიდი მარაგიც. მისი ექსპლოატაცია ჯერ გახდა შესაძლებელი. უკანასკნელ თხუთმეტი წლის განმავლობაში გეოლოგები ყოველწლიურად აკლენენ იმდენ მარაგს, რაც მანგანუმის ყოველი მოპოვების ნახევარზე მეტს შეადგენს. ამ გეოლოგიურ სამუშაოთა ეფექტი მეტად დიდია, რადგან ჭიათურის საბადოს მარაგი ინტენსიური და ხანგრძლივი დამუშავების გამო წლითიწლობით მცირდება.

ამიტომ გეოლოგები დიდი ხანია აწარმოებენ ძებნით სამუშაოებს ჭიათურის მახლობელ რაიონებში ახალ მარაგნეციანი მოედნების გამოვლინების მიზნით. ბოლო წლებში აღნიშნული სამუშაოები იმედის მომცემი გახდა. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მახლობლად მეცნიერული პროგნოზის შედეგად დახურულ სტრუქტურაში აღმოჩნდა მარგანეც შემცველი მოედნები. აქაური მადანი ხარისხოვანია.

ქართველ გეოლოგთა დიდ აღმოჩენად უნდა მივიჩნიოთ მადნეულის ბარიტპოლიმეტალური და სპილენძის საბადოს გამოვლენება, რომლის ბაზაზე ამჟამად მოქმედებს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი. იგი დიდი საწარმოა, მაგრამ გეოლოგებმა განსჯვრიტეს მისი შემდგომი ზრდის შესაძლებლობა და მის მახლობლად ახალ საბადოთა აღმოჩენას ვარაუდობენ. ჩვენი გეოლოგები დიდ იმედებს ამყარებენ აფხაზეთში ამასწინათ აღმოჩენილ სპილენძ-პოლიმეტალურ სტრუქტურაზე. ამჟამად იქ დიდი მასშტაბის ძებნითი სამუშაოები სწარმოებს. სპილენძისა და ტყვია-თუთიის ძებნა სწარმოებს აკრეთვე ჯახეთსა და მთათუშეთში. კვაისის ტყვია-თუთიის საბადოს აღმოჩენის, დაზვერვისა და ათვისების შემდეგ ქართველ გეოლოგებს არ შეუწყვეტიათ ზრუნვა მისი მარაგების შემდგომი ზრდისათვის. ეს სამუშაოები ამჟამადაც მიმდინარეობს.

ჩვენმა გეოლოგებმა აღმოაჩინეს და დაიძიეს აფხაზეთში მდებარე სინდიყის საბადოს ერთი უბანი. ამჟამად მის მახლობლად მეორე უბის წინასწარი დაზვერვა მიმდინარეობს... მოკალთების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

გეოლოგიური სამსახური დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სასოფლო მშენებლობისა და ადგილობრივი მრეწველობის მინერალური ნედლეულით უზრუნველყოფის საკითხს. ბოლო წლებში გამოვლინებულ და დაძიებული იქნა რიგი საბადოებისა, რომელთა ათვისებაც ამჟამად მიმდინარეობს. ბოლო წლებში ჩატარებულ ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა შორის მნიშვნელოვნად გვევლინება რიგი ქალაქების, კურორტების და სპორტული საწარმოთა უზრუნველყოფა სასმელი და ტექნიკური წყლის დამატებითი რესურსებით. ასეთი სამუშაოები ჩატარებულია და ტარდება ქალაქების სოხუმის, ქუთაისის, გორის, ჭიათურის, ბათუმის, დაბა კაზრეთის წყალმომარაგებისათვის. მეათე ხუთწლედში დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდება თერმული წყლების ახალი რესურსების გამოვლინების მიზნით.

საქართველო გეოლოგიურად კარგად შესწავლილი ქვეყანაა. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არ დარჩენილა ადგილი, სადაც გეოლოგს ფეხი არ დაედგას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალში სულ უფრო და უფრო ძნელი გახდება მიწის ზედაპირთან ახლო მდებარე საბადოების აღმოჩენა. ამიტომ საჭიროა ღრმად გაარჩევებული მეცნიერული პროგნოზირება, ახალი ძებნითი კრიტერიუმების შემუშავება და ძებნისას თანამედროვე პროგრესული მეთოდების გამოყენება.

ზემოთ აღნიშნულ მიღწევებში გარკვეული წვლილი მიუძღვის იმ შემოქმედებითს თანამშრომლობას, რომელიც არსებობს გეოლოგიურ სამსახურსა და სამეცნიერო კვლევით და სასწავლო დაწესებულებებს შორის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, გეოლოგიური ინსტიტუტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საკავშირო ნავთობისა და გაზის გეოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტის თბილისის ფილიალისა და სხვათა ნაყოფიერი თანამშრომლობა.

ზემოთაღნიშნული გარკვეული მიღწევების მიუხედავად, საქართველოს გეოლოგიური სამსახური მაინც ვალშია სახალხო მეურნეობის წინაშე. ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე შარშან ისაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და დასახეს ქმედითი ღონისძიებანი.

ახლა ჩვენი უპირველესი ამოცანაა ამ ღონისძიებათა რეალიზაცია და გეოლოგიური კვლევის ეფექტურობის გაზრდა. ფართოდ გაიშლება კვლევა გეოლოგიის, გეოფიზიკისა და გეოქიმიის კარგად სასარგებლო წიაღისეულის გაძლიერებათა კანონზომიერებათა გამოსავლენლად. განზრახულია შეიქმნას საშუალო და მსხვილმასშტაბიანი პროგნოზულ-მეტალოგენური რუკები, რომელიც საფუძვლად დაედება ძებნით სამუშაოებს. გაძლიერდება გეოლოგიური სამუშაოები, უწინარეს ყოვლისა მომქმედ სამთო საწარმოთა რაიონებში.

საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს კოლექტივმა წარმატებით შეასრულა ახალი ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო გეგმები. გადაჭარბებით არის შესრულებული მანგანუმისა და ბარიტის მადნების მარაგთა მატების წლიური გეგმა.

ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის პირველი წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს თერჯოლის გეოლოგიური ძებნითი პარტიის (უფროსი ბ. გოგუაძე), ჭიათურის გეოლოგიური — საძიებო პარტიის (უფროსი ა. ხუნდაძე), ჩორდის გეოლოგიური საძიებო პარტიის (უფროსი ი. ჯაფარიძე), ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო გეოლოგიური, კომპლექსური გეოლოგო-გეოფიზიკური და თემატიური ექსპედიციების კოლექტივებმა.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს ბურღვითმა ბრიგადებმა, რომლებსაც ს. ანთიძე, ზ. პატარიძე, გ. მაზმუდოვი, ა. სახელაშვილი, ს. ომიაძე ხელმძღვანელობენ.

კომუნისტის მშენებლობის გაშლილი პროგრამა, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი გეოლოგებს ახალ ამოცანებს უსახავს. დროთა განმავლობაში მოთხოვნილება მინერალურ ნედლეულზე და მის ახალ სახესხვაობებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნულის გათვალისწინებით გეოლოგთა მთავარი საზრუნავი უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებული წარმოების დონე საჭირო მინერალური ნედლეულით და ამასთან ერთად შექმნან მინერალური ნედლეულის მარაგთა საკმარ საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარებისათვის. ამ დიდი ამოცანის შესრულებისათვის იბრძვის საქართველოს გეოლოგიური სამსახური, რომელიც წლითიწლობით ძლიერდება.

ი. გოგიტიძე,
საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს უფროსი.

დაგეგმვისა და მართვის სრულყოფისათვის

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში გაიმართა მეცნიერო-პრაქტიკული სემინარი, რომელიც მეათე ხუთწლედში რეპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების კომპლექსური ტერიტორიული გეგმის შედგენასთან დაკავშირებულ საკითხებს მიეძღვნა.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების სახელმწიფო საგეგმო კომისიათა თავმჯდომარეები, სამხრეთ ოსეთის მმართველთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების საგეგმო კომისიათა თავმჯდომარეები.

სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარის მონაწილეებს მოხსენებები და ლექციები წაუკითხეს რესპუბლიკის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. მიქელაძემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ვ. მელქაძემ, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. კიკნაველიძემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, მეცნიერმა მუშაკებმა.

სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარის მუშაობა გამსჭვალული იყო მაღალი მოთხოვნებით, რომლებსაც პარტია უყენებს დაგეგმვისა და მართვის სრულყოფისათვის მუშაობას. „ჩვენი სახალხო მეურნეობის გაზრდილმა მასშტაბმა და სირთულემ, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XXVI ყრილობაზე გამოსვლისას, — დააყენა მართვისა და დაგეგმვის სრულყოფის, მთელი სამეურნეო მექანიზმის გაუმჯობესების საკითხი. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა წარმოებს. ეს მუშაობა არ უნდა დაყოვნდეს — პარტია მას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს“.

სემინარის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იდგა დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვა ოპტიმალური შეხამების პრობლემები. მსმენელები გაეცნენ მრეველობის, სოფლის მეურნეობის, მომსახურების სფეროს, კაპიტალური მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, სახალხო განათლებისა და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის კომპლექსური ტერიტორიული დაგეგმვის მეთოდიკას.

სახალხო მეურნეობის დარგების გეგმებთან ერთად კომპლექსური ტერიტორიული გეგმების შედგენა უზრუნველყოფს ადგილობრივი ნედლეულის, შრომითი და მატერიალური რესურსების ყოველმხრივ გამოყენებას.

სემინარის მუშაობის მსვლელობაში მისმა მონაწილეებმა შეიტანეს მთელი რიგი კონკრეტული პრაქტიკული წინადადებანი, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობის საწარმოებში პროდუქციის გამოშვების გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება, დამატებითი რესურსების ყოველნაირი გამოყენება. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პარტიული და სამეურნეო აქტივის მუშაკთა მომავალ თათბირებზე ამ წინადადებათა დეტალური განხილვა ხელს შეუწყობს მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი რესურსების გამოვლენასა და რეალიზაციას.

სემინარის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ჯაფარიძემ.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკური ორგანოების, საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე შ. ბერიანიძე.

(საქინფორმი).

იმატოს ზვრეების, გაღლების გარაქამ

მევენახეობისა და მეხილეობის ტრესტის სამეურნეო აქტივის კრებაზე

საბჭოთა საქართველოს სოფლის მშრომელები ენერგიულად შრომობენ სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში საპატიო წელილის შესატანად. ამის დამადასტურებელია რესპუბლიკის სკკპ-ის ორგანო გარდამავალ წითელ დროშით დაჯილდოება. ამაში დიდია სოფლის მშრომელთა წელილი. ოქტომბრის საიუბილეო წლის გეგმები განიხილეს და ახალი ვალდებულებები იკისრეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებმა. ამასთან მათ გულდასმით გაანალიზეს მეათე ხუთწლედის პირველი წლის შედეგები.

კრებაზე მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველმა გ. ზაუტაშვილმა ვრცელად ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს ტრესტის მეურნეობათა მშრომელებმა. განსაკუთრებით აღინიშნა დასავლეთ საქართველოს რაიონების მევენახეთა სასახელო საქმეები, რომლებმაც გადამეტებით შეასრულეს ყურძნის წარმოებისა და დამზადების შარშანდელი გეგმები. ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა მარცვლეულის დამზადების გეგმები 197,7 პროცენტით შეასრულეს, ბოსტნეულისა — 108,9 პროცენტით, კარტოფილისა — 110 პროცენტით, თამბაქოსი — 151 პროცენტით, ჩაისა — 140 პროცენტით, ციტრუსისა — 101 პროცენტით, ხორცისა — 122 პროცენტით, კვერცხისა — 104 პროცენტით.

ამასთან ერთად მომხსენებელმა ილაპარაკა იმ მიზეზებზე, რომლის გამოც ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა ვერ შეასრულეს ყურძნისა და ხილის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. ყურძნის დამზადების გეგმა მარშან 53,5 პროცენტით, ხოლო ხილისა — 82,5 პროცენტით შესრულდა. როგორც მომხსენებელმა, ისე სიტყვით გამოსულებმა თქვეს, რომ გეგმების შეუსრულებლობა ძირითადად უმინდობის ბრალი იყო. მაგრამ თქმა იმისა, რომ ჩამორჩენა მთლიანად ყინვის ან სეტყვის ბრალი იყო, სწორი არ არის.

კრებაზე მაგალითები მოიყვანეს იმისა, თუ ბეგრმა საბჭოთა მეურნეობამ როგორ გამოიყენა წარმოებაში მეცნიერების მიღწევები, მოწინავეთა გამოცდილება და ტერიტორიული დაგეგმვა ოპტიმალური შეხამების პრობლემები. მსმენელები გაეცნენ მრეველობის, სოფლის მეურნეობის, მომსახურების სფეროს, კაპიტალური მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, სახალხო განათლებისა და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის კომპლექსური ტერიტორიული დაგეგმვის მეთოდიკას.

სახალხო მეურნეობის დარგების გეგმებთან ერთად კომპლექსური ტერიტორიული გეგმების შედგენა უზრუნველყოფს ადგილობრივი ნედლეულის, შრომითი და მატერიალური რესურსების ყოველმხრივ გამოყენებას.

სემინარის მუშაობის მსვლელობაში მისმა მონაწილეებმა შეიტანეს მთელი რიგი კონკრეტული პრაქტიკული წინადადებანი, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობის საწარმოებში პროდუქციის გამოშვების გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება, დამატებითი რესურსების ყოველნაირი გამოყენება. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პარტიული და სამეურნეო აქტივის მუშაკთა მომავალ თათბირებზე ამ წინადადებათა დეტალური განხილვა ხელს შეუწყობს მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი რესურსების გამოვლენასა და რეალიზაციას.

სემინარის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ჯაფარიძემ.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკური ორგანოების, საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე შ. ბერიანიძე.

(საქინფორმი).

სურათებზე: მარჯანიშვილი — სახუქები მონორელსური გზით მიაქვთ; პირველი აგრონომიოფილების მმართველი ნოდარ აფხაძე (მარჯანიშვილი) და ბრიგადირი აკაკი ჯაში ამოწმებენ თუ რიგორ გამოიზამთრა ციტრუსის ხეებმა.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბაზალეთისა ფბის პირას...

ანუ მიტოვებული მშენებლობა და ხელმოცარული მილიონერები

სამი წლის წინათ ბაზალეთის ტბის მახლობლად დაიწყო დუშეთის სასათბურო კომბინატის პირველი რიგის მშენებლობა. ეს პატარა ობიექტი როდია. საკმარისია თქვას, რომ მის მშენებლობაზე თითქმის 3 მილიონი მანეთი დაიხარჯება. მეტი თვალსაჩინოებისათვის ვიტყვით, რომ მას შეუძლია ერთ სეზონში მოკვეცეს სამჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე ისეთმა მძლავრმა მეურნეობამ, როგორიც მუხაიჯვრის საბჭოთა მეურნეობაა.

მშენებლობის პირველი ნაბიჯები საკმაოდ გაუბედავი ვამოდგა. პირველ წელს სამონტაჟო-სამშენებლო სამუშაოების გეგმა არ შესრულდა. 1975 წელს 800 ათასი მანეთიდან, მხოლოდ 277 ათასი მანეთი, ანუ გეგმის 35 პროცენტი ითვისეს. შარშან მშენებლობის ხელმძღვანელობა შეიცვალა და ამ რთულ საქმეს სათავეში ჩაუდგა ჩვენს რესპუბლიკაში ცნობილი მშენებელი ინჟინერი ო. ეგანაძე, რომელმაც ყველაფერი იღონა, რომ 811 ათასი მანეთის ნაცვლად, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული, 837 ათასი მანეთის სამუშაოები შეესრულებინა. გეგმა 104 პროცენტით გაანალიზდა.

შესასრულებელია 1 მილიონ 278 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. ამ სამუშაოთა შესრულება წლეულსავე შეიძლება. ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკის მოქმედ ობიექტებს შეემატოს (ასეც არის გეგმით გათვალისწინებული) ერთი მძლავრი სასათბურე მეურნეობა, მაგრამ...

სწორედ ეს მაგრამ იწვევს მშენებლებისა და საქმეში ჩახედულთა ეჭვიანობის გაკვირვებას. მკითხველისათვის გასაგები რომ იყოს, ვიტყვით, რომ 1976 წლის 31 დეკემბრამდე დამკვეთი იყო საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის დუშეთის სატყეო მეურნეობის საბჭოთა მეურნეობა, ხოლო ამ მეურნეობის სატყეო უწყებიდან გამოცალკევების შემდეგ იგი გადაეცა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი უწყებიდან მეორე უწყებაში გადაცემის შემდეგ სამი თვე გავიდა, მშენებლობა არც მიწისაა, არც ცისა! მას არც სატყეო მეურნეობა პატრონობს და არც სოფლის მეურნეობის სამინისტრო. როდემდის გაგრძელდება ეს, კაცმა არ იცის. არა და, მშენებლობა უკვე რეალურად ჩაშლის წინაშეა, არ შესრულდა იანვართებერვლის გეგმები, მარტში ასათვისებელი იყო 157 ათასი მანეთის სამუშაო, მაგრამ დაევალება არ შესრულდა საჭირო სამშენებლო მასალების უქონლობის გამო. ამ მასალებით კი მშენებლობა დამკვეთმა უნდა უზრუნველყოს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნმა დამკვეთმა ხელები დაიბანა, ახალიც დღემდე არა ჩანს.

საოცარია, რომ მშენებლობა დღემდე არ დაუფინანსებიათ. არ არის დამტკიცებული სასათბურე კომბინატის ტიტული, ამაში დამნაშავეენი არიან ყოფილი დამკვეთი — სატყეო კომიტეტი და ახალგაზრდა დამკვეთი — სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ალბათ რესპუბლიკაში არ მოიძებნება სხვა რომელიმე მშენებლობა, რომლის დაფინანსება ამ დროისათვის გახსნილი არ იყოს. ეს მაშინ, როცა „საქმეფლტექნიკის“ მეორე ტრესტის სპეციალიზებულ მოძრავ მექანიზებულ კოლონას (ეს ორგანიზაცია ამზადებს კომბინატს) დუშეთის სახელმწიფო ბანკში 600 ათასი მანეთი ეალი ადეგს. გამოდის, რომ მშენებლობა მილიონერიც არის და ამავე დროს ხელმოცარულიც. ასე ეძახიან ამ ორგანიზაციას სახელმწიფო ბანკში ხუმრობით თუ სერიოზულად. თუ მდგომარეობა სასწრაფოდ არ შეიცვალა, აპრილში მშენებლობის საფინანსო მდგომარეობა საგანგალო იქნება.

სასათბურე მეურნეობაში გამოყენებული იქნება 50 ათასი კვადრატული მეტრი მინა, რომლის დამუშავება დაწყებულია, მაგრამ ისმება კითხვა, ჩარჩოებში ჩასვას თუ არა მინა? მოესწრება თუ არა ბულბაურიდან წყალსადენის გამოყვანა, (დარჩენილია კიდევ 4,5 კილომეტრი), რომლისთვისაც ფოლადის მილები ჯერაც არ არის გამოყოფილი. რაც შეეხება გაზსადენის მილებს, რომლის სიგრძე 9 კილომეტრია, გამოყოფენ ნოემბერ-დეკემბერში, როცა ამ სამუშაოს შესრულება შეუძლებელი იქნება. გამოდის, რომ თუ კი მინებს ჩაუსვამთ, სასათბურო მეურნეობას თოვლის შემთხვევაში, დანგრევა მოელის.

არა და მხოლოდ მინის ჩასმის შემდეგ შეიძლება სათბურში მიტანტი ნელ ბალეთის ტბის მახლობლად დაიწყო დუშეთის სასათბურო კომბინატის პირველი რიგის მშენებლობა. ეს პატარა ობიექტი როდია. საკმარისია თქვას, რომ მის მშენებლობაზე თითქმის 3 მილიონი მანეთი დაიხარჯება. მეტი თვალსაჩინოებისათვის ვიტყვით, რომ მას შეუძლია ერთ სეზონში მოკვეცეს სამჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე ისეთმა მძლავრმა მეურნეობამ, როგორიც მუხაიჯვრის საბჭოთა მეურნეობაა.

მშენებლობის პირველი ნაბიჯები საკმაოდ გაუბედავი ვამოდგა. პირველ წელს სამონტაჟო-სამშენებლო სამუშაოების გეგმა არ შესრულდა. 1975 წელს 800 ათასი მანეთიდან, მხოლოდ 277 ათასი მანეთი, ანუ გეგმის 35 პროცენტი ითვისეს. შარშან მშენებლობის ხელმძღვანელობა შეიცვალა და ამ რთულ საქმეს სათავეში ჩაუდგა ჩვენს რესპუბლიკაში ცნობილი მშენებელი ინჟინერი ო. ეგანაძე, რომელმაც ყველაფერი იღონა, რომ 811 ათასი მანეთის ნაცვლად, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული, 837 ათასი მანეთის სამუშაოები შეესრულებინა. გეგმა 104 პროცენტით გაანალიზდა.

შესასრულებელია 1 მილიონ 278 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. ამ სამუშაოთა შესრულება წლეულსავე შეიძლება. ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკის მოქმედ ობიექტებს შეემატოს (ასეც არის გეგმით გათვალისწინებული) ერთი მძლავრი სასათბურე მეურნეობა, მაგრამ...

სწორედ ეს მაგრამ იწვევს მშენებლებისა და საქმეში ჩახედულთა ეჭვიანობის გაკვირვებას. მკითხველისათვის გასაგები რომ იყოს, ვიტყვით, რომ 1976 წლის 31 დეკემბრამდე დამკვეთი იყო საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის დუშეთის სატყეო მეურნეობის საბჭოთა მეურნეობა, ხოლო ამ მეურნეობის სატყეო უწყებიდან გამოცალკევების შემდეგ იგი გადაეცა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი უწყებიდან მეორე უწყებაში გადაცემის შემდეგ სამი თვე გავიდა, მშენებლობა არც მიწისაა, არც ცისა! მას არც სატყეო მეურნეობა პატრონობს და არც



კომპლექსური მექანიზაციის გზით

ქოგულეთის რაიონის ციხისძირის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავეა. მეათე ხუთწლედის პირველი წლის სოციალისტური შედეგებისათვის ხაბჭოთა მეურნეობის კოლექტივი დაჯილდოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ამ დღეებში ციტრუსის პლანტაციებში საგაზაფხულო სამუშაოებია გაჩაღებული. მშრომელები ისწრაფვიან ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს და ამიტომაც გადაწყვიტეს ვადამდე დაამთავრონ საგაზაფხულო ღონისძიებები. ახლა მომდინარეობს ნიადაგის გადაბარვა, შეიქვთ ხახუქი. მეციტრუსეებს დიდ დახმარებას უწევს მონორელსური გზა, რომლითაც ხახუქი მიაქვთ ფერდობებზე და ტერასებზე.

ციხისძირელებს იმედი აქვთ, რომ საიუბილეო წელს 1.500 ტონა ციტრუსს მოიწევენ, მეათე ხუთწლედის დამლევს კი ციტრუსის წარმოებას 2.000 ტონამდე გაზრდიან.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პლანტაციებში შრომატევადი პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას. შარშან აქ მექანიზაციის გზით 15 ათას მანეთზე მეტი დაზოგეს.

მეტი ხორცი — სამშობლოს!

ცხინვალი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები დიდძალ ხორცს აბარებენ დამზადების პუნქტებს. თეკლათელებმა ჯ. ბებიამ 562, ხოლო მ. მირგატიამ 510 კილოგრამი ღორის ხორცი მიაყიდეს სახელმწიფოს, ეკის „კომუნისტის“ საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი წევრმა ხ. ადამიამ — 990, ახალსოფლის მცხოვრებლებმა ა. კუპრეიშვილმა და ე. ლომიამ — 718-825, ავტომძღოლმა ი. სამინავამ — 850, ზემოჯალადიდელმა ო. ჩიკობავამ — 900 კილოგრამი.

ასპინძა. (საკ. კორ.). რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში სულ უფრო ფართოდ ინერგება ხორცის წარმოების ისეთი პროგრესული მეთოდი, როგორიც არის პირუტყვის ინტენსიური სუქება.

ოთის კოლმეურნეობამ პირველი კვარტალის გეგმა-დავალებით გათვალისწინებული 44 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 49 ცენტნერი ხორცი. დამალის კოლმეურნეობამ 73 ცენტნერის ნაცვლად 81 ცენტნერი, ხოლო საყდაბლის კოლმეურნეობამ ნაცვლად 83 ცენტნერისა — 130 ცენტნერი ხორცი.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვა კვლავ გრძელდება. აღსანიშნავია, რომ ჩაბარებული ხორცი ძირითადად მაღალი და საშუალო ნაკვებობისა.

„კომუნისტის“ კრიტიკული მამოწმების შემდეგ

„რაც აშენდა, ისიც ინგრევა“

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს რეხაუბლიკური სარემონტო სამშენებლო სამმართველო

„კომუნისტის“ 28 იანვრის ნომერში დაბეჭდილი იყო კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემომარხაანის საყოფაცხოვრებო მომსახურების 30-ადგილიანი კომბინატის მშენებლობას.

ამის გამო საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სარემონტო სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ნ. ახობაძემ გვაცნობა:

საყოფაცხოვრებო კომბინატის მშენებლობა დაკავებული ჰქონდა გურჯაანის № 1 სარემონტო სამშენებლო უბანს, ხოლო დაფინანსება — ზემომარხაანის კოლმეურნეობას.

1976 წლის სექტემბრის შემდეგ მშენებლობა შეწყდა იმის გამო, რომ კოლმეურნეობა არ იხდიდა შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებას. საკითხის პარტიის რაიონულ კომიტეტში განხილვის შემდეგ, კოლმეურნეობამ შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება გადაიხადა. უსწოლოს ხანში მშენებლობა განახლდება და წლეულს მესამე კვარტალისათვის დამთავრდება.

ბაზეთების ფურცლებზე

აღვადგინოთ სიმინდის მოყვანის ქვაჩახიასეული ტრადიცია

უველაზე აქტიალური ამოცანა მარცვლეულის წარმოების ზრდა. ეს არის სოფლის კომუნისტთა, ყველა კოლმეურნისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკის მუშაობის დამკვრელური უბანი. მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავალი უნდა გავზარდოთ სულ ცოტა 35-40 მილიონი ტონით. ეს ჩვენ შეგვიძლია. როგორც ცნობილია, გასულ ხუთწლედის ცალკეულ წლებში უკვე მოგვწევია ასეთი მოსავალი, და თუ მთელ რეზერვებს ავამოქმედებთ, მეტსაც მივაღწევთ.— ლ. ი. ბრეჟნევის ამ მითითებით ახსნება მეორე გვერდი, რომელიც ვალის რაიონულმა გაზეთმა მთლიანად სიმინდის წარმოების გადიდების პრობლემებს მიუძღვნა.

გვერდის „ნშლაგი გვაუწყებს, რომ საჭიროა აღვადგინოთ და გავავრცელოთ ჩოქოლი ქვაჩახიასეული ტრადიცია სიმინდის მარცვლის წარმოებაში. დიდი ოქტომბრის იუბილესთვის მზადების დღეებში ეს დიდად სასარგებლო ინიციატივა იშვა სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეთექვსმეტე ბრიგადაში, რომელსაც წლების განმავლობაში სთავეობდა ეფა სოფლად სტახანოვური მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი პიონერი, სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის დიდოსტატი ჩოქოლი ქვაჩახია.

მეთექვსმეტე ბრიგადის წევრმა, ჩოქოლი ქვაჩახიამ აღზრდილმა და შემოკვლელმა, სახელოვანმა ბრიგადირმა ხუხუტი ფონიამ ამავე გაზეთში გამომქვეყნა წერილი, რომელთაც მან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბრიგადირებს, მერგოლურებს, ყველა მესიმინდეს, ყველა მშრომელს მოუწოდა ყოველ ბრიგადაში ჩოქოლი ქვაჩახიას მეთოდით **მოაწყონ სიმინდის სტახანოვური, უხვმოსავლიანი ნაკვეთები 6 ჰექტარზე, ხოლო ყოველ რგოლში — 3 ჰექტარზე.**

მეკიმინდეებმა მოიწონეს ხ. ფონიას ინიციატივა და აკონკრეტეს კონკრეტული ვალდებულებანი. თვით ოქუმელებმა გაიანგარიშეს:

„დამკვიდრდა მშრომელი ადამიანების ჭეშმარიტი ძმობა, მათი ეროვნების მიუხედავად, ძმობა, რომელიც შედუღაბებულია ძირეული ინტერესებისა და მიზნების ერთობლიობით“.

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, დედგენილებიდან.

საბჭოთა ხალხების შრომეული მეგობრობა

ბრძოლაში ნაწრთობი...

ოქტომბრის შუქი ანთებს ჩვენს ცხოვრებას

ქალინინი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია რუსეთში. უწინ ის ტვერის სახელით იყო ცნობილი. დედამიწის გარშემო სამოგზაუროდ სწორედ ტვერიდან გაეშურა შორეულ ინდოეთისაკენ ა. ნიკიტინი... ქალაქის ისტორიასთან ბევრი ბრწყინვალე სახელია დაკავშირებული: მიხეილ სერდიუკოვი და ალექსანდრე რადიშჩევი, ივანე კრილოვი და ალექსანდრე ოსტროვსკი, კაზაკოვი და კარამზინი, დოსტოევსკი და გლინკა... აქ ჩერდებოდა ალექსანდრე პუშკინი, აქეთ დასაფლავებული პუშკინის მუზა და გატაცება ანა კერნი.

ქალინინის სახელი ქალაქს დაერქვა 1931 წლის 30 ნოემბერს გამოჩენილი რევოლუციონერის და დიდი პოლიტიკური მოღვაწის მ. ი. ქალინინის პატივსაცემად... დღეს ქალინინი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია თავისი 400 ათასი მცხოვრებით.

აი, რამდენიმე საინტერესო ციფრი, რომლებიც ახასიათებს დღევანდელ ქალინინს: ეს ქალაქი სამშობლოს აძლევს ყველა სამგზავრო ეგზემპლარს ორ მესამედს, ტყავის და ხელოვნური ბოქაულის ნაწარმს, მსოფლიოს 40 ქვეყანა ყიდულობს ქალინინის ელექტროსაგზაურებს, ყოველი მეორე საბავშვო წიგნი ყველაზე პატარებისათვის დაბეჭდილია ქალინინის პოლიგრაფიულ კომბინატში, მსოფლიოში განთქმულია ადგილობრივ ფეიქარნა ნაწელავი, განვითარებულია ქიმიური მრეწველობა, საკავშირო სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტებში მუშავდება სინთეზური ბოქაულისგან დამუშავებული ნაირნაირი ქსოვილები.

როგორც მკითხველს მოეხსენება ყოველ ქალაქს აქვს თავისი ბიოგრაფია, თავისი გული. ქალინინში ასეთი ადგილია ლენინის მოედანი. სწორედ აქ შეეგებნენ ამას წინათ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან ჩამოსულ ძეგლფას სტუმრებს ქალინინის შრომელები... ყვავილების ზღვა, ღიმილი, ორკესტრი ფანფარულებს ფუნავეს-კის მისასალმებელ მარშს... აქედან სტუმრები და მასპინძლები მიდიან შეიქართა დიდებულ კულტურის სასახლეში, რომელიც ტრუსოვის სახელობისაა. დარბაზში კედლის სიგრძეზე ვადაჭიმულია პლაკატი ქართული წარწერით: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას!“... „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ქართველო მეგობარ ე-ბო!“...

იწყება თემატიკური საღამო დეკემბერი: „ომში ნაწრთობი საბჭოთა ხალხების მეგობრობა“. შეხვედრის ინიციატორები არიან ლენინური კომკავშირის ქალინინის საქალაქო კომიტეტი, ხალხთა მეგობრობის სახალხო უნივერსიტეტი, ქალინინის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიგრაფიული კომბინატი, ქალინინის გარნიზონის სარდლობა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენლობა მოსკოვში.

საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენლობის უფროსმა კონსულტანტებმა — პარტორგანიზაციის მდივანმა ო. ივანიძემ და ნ. ლაშხმა დამსწრეთ უამბეს ჩვენი რესპუბლიკის შესახებ, გაიცნეს მისი სახელოვანი წარსული და აწმყო, აღნიშნეს ის დიდი ძვრები და გარდაქმნები, რომლებიც ჩვენში უკანასკნელი წლების მანძილზე ხდება.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ქალინინის სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა, ომის ვეტერანმა ვ. ლომოვმა. მან თქვა, რომ ქალინინის ოლქის შრომელები ყურადღებით ადევნებენ თვალს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შრომელთა საქმიანობას, ახარებთ მათი წარმატებები და გამარჯვებები. ქალინელები გულთბილად ულოცავენ ჩვენს რესპუბლიკას მთავრობის მაღალ ჯილდოს: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას 1976 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისთვის და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ქართველი და რუსი ხალხის ტრადიციული მეგობრობა განსაკუთრებით გამოიკვეთა დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში. ქალინინის მიწას ჩვენი ქვეყნის ბევრ წარმომადგენელთან ერთად სისხლით იცავდნენ ქართველი ვეკაკცები... ქალინინელებისთვის ახლობელია და ძვირფასი ქართველი მეომრების ალექსანდრე კაციტაძის და ვახტანგ კოპალეიშვილის სახელები... ქალინინელები სათუთად ინახავენ ქართველი ვეკაკცის ვასო პეტრიაშვილის ხსოვნას, რომელმაც 1943 წლის 28 იანვარს, სადგურ კრიმსკაიასთან, ნოვოროსიისკის რაიონში გაიმეორა ალექსანდრე მატროსოვის უკვდავი გმირობა. ქალინინელთა დამსახურებაა, რომ მათ იპოვეს გმირის საფლავი, ქვეყანას ამცნეს მისი ზღაპრული გმირობა. დღეს ქალინინის 38-ე სკოლის საუკეთესო პიონერთა რაზმეულს ამაყად ატარებს ვასო პეტრიაშვილის სახელს.

ძვირფას სტუმრებს ტრადიციული რუსული პურითა და მარილით მორთული ხონჩა მიართვეს ეროვნულ კოსტუმებში გამოწყობილმა გოგონებმა. საქართველოს წარგზავნილებმა ყვავილებით შეამკეს ქალინინელთა წმიდათაწმიდა ადგილი, შინმოუსვლელთა გმირების ძეგლი...

მეგობრების შეხვედრა გაგრძელდა ქალინინის შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიგრაფიულ კომბინატში. ეს სახელოვანი კოლექტივი წელიწადში უშვებს 20 მილიონზე მეტ წიგნს, 14 მილიონ ჟურნალს, 925 მილიონ ღია ბარათს, 11 მილიონ პლაკატს, სულ 12 მილიონი მანეთის პროდუქციას.

ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერმა ვ. კრავჩენკომ ილუსტრაციას ქალინინელთა საქმიანობაზე, ქართველ მეგობრებს მოუყოლა რესპუბლიკის წარმატებები და ხაზი გაუსვა, რომ მისი თანამოქალაქეებისათვის ისეთივე ძვირფასია ქართველი გმირების სახელები, როგორც ქალინინელების ალექსანდრე მატროსოვისა, ლიზა ჩაიკინისი, ალექსანდრე მასლოვისა...

ქალინინის გარნიზონის ოფიცერთა სახლის დიდ საკტო დარბაზში გაიმართა საზეიმო საღამო. შეხვედრაზე მოვიდნენ ქ. ქალინინის მშრომელები. აქ ირიან სოციალისტური შრომის გმირი, ლენინის ორდენოსანი ბამბეულის კომბინატის მუშა, ე. საპუნოვი, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, გ. კ. ჟუკოვის სახელობის საჰაერო დაცვის სამხედრო მეთაურთა აკადემიის პოლიტგანყოფილების უფროსი, გენერალ მაიორი ვ. ი. მაკარიჩევი, კრონშტადტის გმირი, ოქტომბრის რევოლუციის, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის მონაწილე 85 წლის ყოფილი მეზღვაური, 14 საბრძოლო ორდენის კავალერი ივანე კტროჩკინი, ქალინინის ომის ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარე თადარიგის პოლკოვნიკი ნ. ალდანოვი, სევასტოპოლის გმირი, გადამდგარი ზემდეგი ვ. ტიმანცოვი...

ქალინინის სოლ.ენ თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს სპექტაკლის „ვასო პეტრიაშვილის“ ფრაგმენტები.. საღამოს დამთავრების შემდეგ ომის ვეტერანებმა ბევრი რამ გაიხსენეს, სიყვარულით მოიგონეს გმირი ქართველი მეგობრები...

ნ. ალდანოვის ნაამბობი: ბრძოლები ერთად მე და ბატრეის უფროსი ალექსანდრე ქალინინის ფრონტზე ვიბრძოდით ერთად მე და არტელერისტთა ბატარეის უფროსი ალექსანდრე კაციტაძე. მისმა ბატარეამ ჩვენი ქალაქის განპატარა, ძველი ხიდის მიღმა 24 საათით შეაჩერა მტრის შეტევა, ეს მაშინ, როცა კაციტაძის ერთი მუჭა მებრძოლებს ფაშისტთა ტანკები დაეხვია. არ შედრკა ქართველი ვეკაკცი, 10 ტანკი გამოიყვანა მწყობრიდან, ხელი შეუწყო მოსახლეობის გაეხიზნას ქალაქიდან და მხოლოდ უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანების შემდეგ დატოვა ქალაქი.. ასეთივე გმირობით გამოირჩეოდა ვახტანგ კოპალეიშვილი... დღეს, როგორც ვიცი, ისინი ჯანმრთელად არიან და ცხოვრობენ — ქუთაისსა და სამტრედიაში... თქვენი გაზეთის საშუალებით გადაეცით ქალინინელთა მადლიერებისა გრძნობა და კეთილი სურვილები, ყოველთვის სანატრელი სტუმრები იქნებიან ქალინინის მაყურებელნი.

ზემდეგ ვ. ტიმანცოვის მოგონება: ომი გეგ „ბოიკზე“ გავატარე. 1942 წელს კონტრ-ადმირალ ვ. ოქტიაბრსკის დროშით პირველად შევედით ქ. ფოთის პორტში... ჩემთან ერთად ომობდა და სიმამაცის სასწაულს ახდენდა მინიორ-ტორპედისტი გ. პავლიაშვილი, სევასტოპოლის და ოდესის გმირი... დღეს, მშვიდობიან ვითარებაში ჩვენი ხომალდის ზარბაზნები, როგორც მოწმეები შაი ზღვის გმირული ეპოპეისა, უხმოდ გარინდებულან მალახოვის ყორანზე სევასტოპოლში. ჩვენ ტრადიციულად ვხვდებით ერთმანეთს ამ გმირ ქალაქში. ასე იყო 1975 წლის 7 სექტემბერს... 150 ვეტერანი ჩამოვიდა. მეგობრულ სუფრაზე გ. პავლიაშვილი იყო თამადა... კეთილი სურვილები გადაეცით და მიულოცეთ თქვენს რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების ყველასათვის გასახარი გამარჯვებები. მომავალ შეხვედრამდე მეგობრებო!

ლასკვნითი შეხვედრა ქალინინის მებამბეთა კომბინატის კულტურის სახლში მოეწყო. აქ, ამ სცენაზე გამოდიოდნენ ნ. კრუპსკაია, ა. ლუნაჩარსკი, ს. კიროვი, მ. კალინინი... საღამოს დევიზი იყო: „საქართველო სსრ მეათე ხუთწლედში“ შეხვედრაზე მოვიდნენ კომბინატის მოწინავე მუშები, სოციალისტური შრომის გმირები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები...

ეს შეხვედრა სასახარულო და გულწრფელი მეგობრობის დღესასწაულად გადაიქცა... ეს იყო შრომის, გამარჯვების და სიკეთის სადიდებელი სიმღერა, ლენინის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის, რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობისა და სიყვარულის კიდევ ერთი დადასტურება, რომელსაც ფესვები საუკუნეებში აქვს გადგმული...

ქალინინელ მეგობრებთან შეხვედრების წარმატებათ ჩატარების საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორმა **ნ. მჭედლიძემ**, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა **ლ. ელიავამ**, რედაქტორმა **ნ. გრიგოლაშვილმა**, საერთაშორისო მუსიკალური კონკურსების ლაურეატმა **რ. ბეგახალიამ**, კონცერტმაესტრმა **ა. კალგორსკაიამ**, რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტროს როსკონცერტის სოლისტებმა **ძმებმა ბეშიტაშვილებმა** და მოსკოვის ბაბუშკინოს რაიონის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა **„კოლხიდამ“**...

ქალინინელებს უჩვენებენ ქართული ფილმები „პირველი მერცხალი“, „სერენადა“, „ორი ნოველა“, „ჩიბუხი“. ყველგან, სადაც კი გაიმართა მეგობრული შეხვედრები, დიდი წარმატებით უჩვენეს ფილმი „ყრილობიდან ყრილობამდე“...

დიდხანს, დიდხანს დაამახსოვრდებათ ეს საინტერესო შეხვედრები ჩვენს გულწრფელ მეგობრებს — ქალინინელებს.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.



სურათებზე: ომის ვეტერანთა შეხვედრა ხევახტოპოლში. მარჯვნიდან მეშვიდე — ნაღმოსანი „ბოიკის“ მინიორ-ტორპედისტი გ. პავლიაშვილი, ზემოთ ვ. პეტრიაშვილი.

მსოფლიოს ამბები

ფაქტები • პრობლემები

2 აპრილი

საჭირო რეალიზმი

საზღვარგარეთის პრესა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებების შესახებ

საზღვარგარეთის პრესის ფართო გამოხმაურება გამოიწვია მოლაპარაკებამ, რომელიც მოსკოვში ჰქონდათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ს. ვენსთან, და ა. ა. გრომიკოს პრესკონფერენციამ საკითხებზე, რომლებიც ამ მოლაპარაკებას შეეხება.

პრესას დაწერილებით მოჰყავს მოლაპარაკების შედეგების შესახებ კომუნიკეს შინაარსი, მთლიანად ბეჭდავს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლას პრესკონფერენციაზე ან მოჰყავს მისი შინაარსი.

ბევრ გამოხმაურებაში აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კონსტრუქციული პოზიცია მოლაპარაკებაზე. ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირმა უარყო ამერიკის ცდები ვლადივოსტოკის მორიგების რევიზიის საკითხებში, რადგან ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებები მიზნად ისახავს შეერთებული შტატებისათვის ცალმხრივი უპირატესობის შექმნას. პრესაში, აგრეთვე ბევრი ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეთა გამოსვლებში გაკრიტიკებულია ამერიკის ადმინისტრაციის პოზიცია.

ამერიკული გაზეთი „ვაშინგტონ სტარი“ აშკარებს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას მოსკოვის მოლაპარაკებაზე და წერს, რომ „შეიარაღებისადმი კონტროლის პრობლემებზე მომუშავე ზოგიერთი ამერიკელი სპეციალისტის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება სტრატეგიული იარაღის არსებულების მნიშვნელოვანი შემცირების თაობაზე, როგორც ჩანს, უფრო იმას ითვალისწინებდა, რომ განიარაღებისადმი მისწრაფების შთაბეჭდილების შექმნით შეერთებულ შტატებს პროპაგანდისტული სარგებლობა მიეღო, ვიდრე იმას, რომ სწრაფად მორიგებოდა საბჭოთა კავშირს“.

პრეზიდენტის „პაკეტში“, წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, იყო ზოგიერთი ელემენტი, რომელთა საფუძველზე ადრევე შეგვეძლო გვეწინასწარმეტყველებინა, რომ მოსკოვი მათ უარყოფდა. როგორც გაზეთი აცხადებს, ეს არის შეერთებული შტატების მიერ შეთავაზებული საბჭოთა მოძრავი რაკეტების განვითარების შეწყვეტა, სადაო საბჭოთა ბომბდამშენზე შეზღუდვების დაწესება და საერთო სტრატეგიული მარაგის, აგრეთვე მძიმე რაკეტების კატეგორიათა მკვეთრი შემცირება.

ზოგიერთმა პრესის ორგანომ და პოლიტიკურმა მოღვაწემ გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მუქარა, რომელიც პრესკონფერენციაზე გამოთქვა 30 მარტს. მან მაშინ განაცხადა, რომ, „თუ მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, რომელიც მომდევნო თვეში გაიმართება, ჩვენ მივალთ დასკვნამდე, რომ რუსები“, — როგორც მან თქვა, — „ულწრფელი არ არიან ჩვენთან და რომ „შეთანხმების დადება საეჭვოა“, იგი იძულებული გახდება „აწონ-დაწონოს, მიზანშეწონილია თუ არა დამატებით სახეობათა იარაღის შექმნა და განვითარება“.

მეორე სტატიაში „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ „ამერიკის ადმინისტრაციაში იმ პირთა შორის, რომლებიც ჯ. კარტერის პოზიციას უჭერენ მხარს, არიან ისეთებიც, რომელთა აზრითაც, იგი არ მოელოდა საბჭოთა კავშირის მხრივ უსოდენ ძლიერ რეაქციას“.

ამავე დროს ბევრმა ამერიკელმა გაზეთმა გამოაქვეყნა სტატია, რომლებშიც ცდილობენ დაამახინჯონ საბჭოთა კავშირის პოზიცია მოლაპარაკებაზე, ამერიკის წინადადებები კი ისე წარმოადგინონ, თითქოს გამალებული შეიარაღების შესუსტებას ისახავდნენ მიზნად.

როგორც ამერიკული პრესა აღნიშნავს, გუშინ მთელი დღის განმავლობაში თეთრ სახლში პრეზიდენტ ჯ. კარტერს გაუთვალისწინებელი თათბირები ჰქონდა საგარეო-პოლიტიკურ მრჩევლებთან. ვაშინგტონის პოზიცია მოსკოვის მოლაპარაკების მიმართ თეთრი სახლის პრესმდივანმა პაუელმა ჩამოაყალიბა პრესკონფერენციაზე. მან ფაქტიურად გაიმეორა ჯ. კარტერის ის განცხადებები, რომლებიც მან 30 მარტს გააკეთა პრესკონფერენციაზე.

ინდურა გაზეთმა „სტატეს ტაიმსმა“ მოლაპარაკებას უძღვნა სარედაქციო სტატია, რომელშიც წერს: „კარტერის განცხადება, რომ, თუ ერთვეის მოლაპარაკება ჩაიშალა, ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული გახდება ახალ სახეობათა იარაღის შემუშავების საკითხი განიხილოს; ულტიმატუმივით გაისმა. თუ ორივე მხარე ნამდვილად დარწმუნებულია, რომ ჩვენს ატომურ საუკუნეში მშვიდობიან თანაარსებობას არ შეიძლება რამე გონივრული ალტერნატივა ჰქონდეს, ორი დიდი სახელმწიფო უნდა შეთანხმდეს და უწინარეს ყოვლისა ხელი მოაწეროს ვლადივოსტოკის 1974 წლის შეთანხმებას“.

პრესკონფერენციაზე გამოსულმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰ. შმიდტმა განაცხადა, რომ ამერიკის მხარეს და მათმა საბჭოთა პარტნიორებმა იცან, რომ მოსკოვის მოლაპარაკების შედეგი „გზის დასასრული არ არის“.

დასავლეთგერმანული „ნიუ ფრერ ციტუნგის“ წერს: „სანუგეშოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი ჯერ ისევ ესაუბრებიან ერთმანეთს. ყველაზე დიდწილად ნელოვან სადავო საკითხებს სამუშაო ჯგუფებში განიხილავენ. განხილვის შედეგები უწინარეს ყოვლისა იმაზე იქნება დამოკიდებული, აპირებს თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი „ბაკეტ“ ასწავლოს აღმოსავლეთის ბლოკს“, თუ დაუბრუნებდა მეთოდებს, რომლებსაც მისი წინამორბედნი მიმართავდნენ, როცა მეორე დიდ სახელმწიფოსთან ურთიერთობას აგებდნენ“.

ინგლისური „ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში აცხადებს: სავალდებულო არ არის პირველი რეაქცია პუსიისტური იყოს. ის, რომ რუსებმა უარყვეს ვენსის წინადადებები, რომლებიც მან სრულიად გაუფრთხილებლად შესთავაზა და რომლებსაც დრო სჭირდება მოსაფიქრებლად, ამ ეტაპზე საშიშად არ უნდა მოგვეჩვენოს. მოსკოვმა კარტერს განუცხადა, რომ პოზიცია, რომელიც მან დაიკავა ადამიანის უფლებათა საკითხში, საფრთხეს უქმნის დაძაბულობის შენელების ყველა ასპექტს.

კარიკატურისტის კომენტარი

დემოკრატია დაპირებები, რომ აქტიურად განავითარებდნენ მშვიდობიან ურთიერთობას სსრ კავშირთან, ჯერჯერობით სულაც არ არის განხორციელებული საქმით. პირიქით, ამერიკის ოფიციალური ინსტანციები დაუშვებელ ((დეს მიმართავენ, რათა „ადამიანის უფლებათა დაცვის“ შეთითხნილი საბაბით ჩაერიონ სსრ კავშირის საშინაო საქმეებში.



ცდილობენ გასაღების მორგებას.
გ. ლომიძის ნახატი.

სესიის შედეგები

კაირო. (საკადრო). ეგვიპტის დედაქალაქში მუშაობა დაამთავრა არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს სესიამ საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის აღსანიშნავია — ლიბანში მშვიდობის დამყარებელ არაბულ სახელმწიფოთა ჯარების მანდატის 6 თვით გაგრძელება, აგრეთვე ორი თვით გაგრძელება ოთხმხრივი კომიტეტის მუშაობის ვადის, რომლის შემადგენლობაში შედიან ეგვიპტის, სირიის, საუდის არაბეთისა და კუვეიტის წარმომადგენლები და რომელიც შექმნილია იმ მიზნით, რომ განახორციელოს პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელობასა და ლიბანის ხელისუფლებს შორის დადებული შეთანხმებანი. გათვალისწინებულია აგრეთვე გააძლიერონ ისრაელისა და უცხოეთის იმ ეკონომიკური ფირმების ბოიკოტი, რომლებიც მასთან თანამშრომლობენ.

ჯ. კარტერის გამოსვლა

ვაშინგტონი, (საკადრო). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი გამოვიდა პრეს-კონფერენციაზე მოსკოვში გამართული საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებიბ გამო.

პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა ამერიკის პოზიცია სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე, აგრეთვე მთელ რიგ სხვა საკითხებზე, რომლებიც განიარაღების პრობლემას შეეხება. ჯ. კარტერი არსებითად იცავდა ამ პრობლემის გადაჭრისადმი ისეთ მიდგომას, რომელიც დარღვევდა თანაბარი უშიშროების პრინციპს და ცალმხრივად ხელსაყრელი იქნებოდა შეერთებული შტატებისათვის.

პრეზიდენტის გამოსვლას, როგორც ადგილობრივი მიმომხილველები აღნიშნავენ, პროპაგანდისტული ხასიათი ჰქონდა და გამსჭვალული იყო მისწრაფებით, რომ საბოგადოებრიობას თაეს მოახვიოს ამერიკის თვალსაზრისი განიარაღების დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, ამასთან უგულებელყოს სხვა სახელმწიფოების წინადადებანი, რომლებიც წარდგენილია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანოს განსახილველად, ისევე როგორც კონსულტაციების, გზით სახელმწიფოების განსახილველად.

ასე დაიწყო გაზაფხული

წერილი ბუდაპეშტიდან

4 აპრილი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის დღეა

სურათზე: ძეგლი საბჭოთა გმირებს უიპეშტის მუშათა რაიონში.

ოთხი აპრილი უნგრეთის ისტორიაში ღირსშესანიშნავი თარიღია. 1945 წლის გაზაფხულის ამ დღეს საბჭოთა არმიამ დაამთავრა ქვეყნის განთავისუფლება ფაშისტ დამპყრობთაგან და უნგრელი ხალხი თავისი სამშობლოს სრულუფლებიან ბატონ-პატრონად იქცა. მას შემდეგ 4 აპრილი უნგრეთში აღინიშნება როგორც ყველაზე დიდი ეროვნული დღესასწაული. ზეიმის წინ რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები სადღესასწაულოდ ირთვება. სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობათა კოლექტივები შრომით მიღწევებს უპატაკებენ. ბუდაპეშტში გელერტის მთაზე აღმართული დიდებული განთავისუფლების მონუმენტის მარმარილოს კვარცხლბეკთან, საბჭოთა ჯარისკაცების საფლავების ობელისკებთან დებენ პირველ ყვავილებს — ენძილებსა და იებს.

თავისუფლების ოცდამეთორმეტე გაზაფხულს უნგრელი ხალხი საყოველთაო აღმავლობის ვითარებაში აღნიშნავს. სოციალისტური მშენებლობის წლებში რესპუბლიკის მშრომელებმა თავისი გამოცდილი ავანგარდის — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწიეს ცხოვრების ყველა დარგში. მოკლე პერიოდში უნგრეთმა დაძლია ეკონომიკური ჩამორჩენა, ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოთა რიგში ჩადგა. დღეს მისი მრეწველობა თვეში იმდენ პროდუქციას უშვებს, რამდენსაც მეორე მსოფლიო ომის წინ მთელი წლის მანძილზე აწარმოებდნენ. ომამდელ პერიოდთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო წარმოება 60 პროცენტით გაიზარდა, ეროვნული შემოსავალი — ხუთჯერ და უფრო მეტად. წლითიწლობით მაღლდებოდა უნგრელი ხალხის კეთილდღეობა. ერთ სულ მოსახლეზე მოხმარება ამჟამად სამჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ომამდე იყო.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობის მიერ დასახული განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამას წარმატებით რომ ახორციელებს, უნგრეთი თვალსაჩინო როლს ასრულებს საერთაშორისო არენაზე. საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ძმური ერთიანობით იგი დიდ ძალ-ღონეს აბარებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფას.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში 4 აპრილი აღინიშნება არამარტო როგორც განთავისუფლების დღე, არამედ როგორც უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დიდი დღესასწაული. ამ მეგობრობას მრავალი წლის ტრადიცია აქვს. იგი ჩაისახა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მუსნუბარე დღეებში, როდესაც ათასობით უნგრელი ინტერნაციონალისტი — ყოფილი სამხედრო ტყვე — ეამარებოდა რუსეთის მშრომელებს ახალი ცხოვრების დაცვაში. ეს მეგობრობა გამოიწვრთო საბჭოთა რესპუბლიკის გამოცდების დღეებში 1919 წელს, როდესაც ერთიან საბრძოლო მწყობრში, უნგრელ რევოლუციონერებთან მხარდამხარ რუსი ინტერნაციონალისტებიც მიდიოდნენ.

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა და თანამშრომლობა განთავისუფლების შემდეგ უნგრეთში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. „საბჭოთა ხალხის — ჩვენი განმათავისუფლებლის და ამ ბრძოლაში ჩვენს მხარეზე მყოფი უცხოელი ძმების დახმარებას, — თქვა თავის გამოსვლაში სკკპ XXV ყრილობაზე უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა, — უქმად არ ჩაუვლია: ამჟამად უნგრეთის მიწაზე ცოცხრობს თავისუფალი ხალხი, რომელიც განუხრელად მიდის თავის ისტორიულ გზაზე საბჭოთა ხალხთან, სხვა სოციალიზმის მშენებელ მოძმე ხალხებთან ერთად“.

საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს უნგრეთის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. სსრ კავშირი უნგრეთის უდიდესი სავაჭრო პარტნიორია. მარტო მიმდინარე ხუთწლედში ამ ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვის მოცულობა 18 მილიარდ მანეთს შეადგენს, რაც ერთნახევარჯერ და უფრო მეტად აღემატება 1971-1975 წლების დონეს. საბჭოთა კავშირი თითქმის მთლიანად უზრუნველყოფს უნგრეთის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას ნავთობზე, რკინის მადანზე, ელექტროენერგიაზე. უნგრეთი იღებს საბჭოთა თვითმფრინავებს, მსუბუქ ავტომანქანებს, ელექტრონულ მანქანებს და სხვა ტექნიკას. თავის მხრივ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა სსრ კავშირს აწვდის ავტობუსებს, დიზელიან მატარებლებს, პორტალურ და მცურავ ამწეებს, კომპლექტურ მოწყობილობას კვების მრეწველობისათვის, სახალხო მოხმარების საქონელს.

უნგრეთის თითქმის ყველა ახალ სამრეწველო ობიექტზე ნახავთ საბჭოთა ტექნიკას. რესპუბლიკის სამანქანო-სატრაქტორო პარკის საფუძველს საბჭოთა ტრაქტორები და კომბაინები შეადგენენ. უნგრული ხელსაწყოები და მოწყობილობა საიმედოდ მუშაობს ათობით საბჭოთა ქარხანასა და ფაბრიკაში.

და მაინც უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობანი არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობით. მას ღრმად აქვს ფესვი გადგმული ხალხის წიაღში. უნგრეთის ბევრი ოლქი და ქალაქი საბჭოთა კავშირის ოლქებსა და ქალაქებს დაუძმობილდა. ბუდაპეშტი და მოსკოვი, სეგედი და ოდესა, სოლნოკი და ტალინი, მალოეტარიანი და კემეროვო რეგულარულად ცვლიან ერთმანეთში დელეგაციებს, გამოფენებს, ტურისტებს.

საბჭოთა ადამიანებისადმი მეგობრული გრძნობა ბოძმე უნგრელი ხალხის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ამას მოწმობს ამჟამად ქვეყანაში „წითელი ჩიპელის“ მაგალითისამებრ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად. ჩიპელის მეტალურგიული და მანქანათმშენებელი კომბინატის კოლექტივისადმი გაგზავნილ მისასალმებელ წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა ჩიპელელ მუშათა თოსნობის ღრმა ინტერიოტული და ინტერნაციონალისტური ხასიათი. „ჩიპელელთა მოწოდებას, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, — უკვე ფართოდ გამოეხმაურნენ უნგრელი მშრომელები! უნგრელი მუშები, გლეხები, ინტელიგენტები, კომუნისტები და უპარტიოები ჩაებნენ ამ შესანიშნავ მოძრაობაში, ცხადყოფენ თავისუფალი შრომის სიდიადეს, ამრავლებენ სოციალისტური უნყრეთის ძლიერებას, ხელს უწყობენ ჩვენი საერთო კომუნისტური საქმის ახალ წარმატებებს“.

უნგრეთის განთავისუფლების დღეს აღნიშნავს სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყანა, უნგრელი ხალხის ყველა გულწრფელი მეგობარი.

ვ. სემიონოვი,
ხაკდენის კორ.

ბუდაპეშტი.



„კომუნისტის“ ინტერვიუ

ერთ-ერთი ექსკურსია ქინოდ — ამერიკის ეკრანზე

ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოსკოვს დაბრუნდნენ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი რევაზ ჩხეიძე და კინორეჟისორი გიორგი შენგელაია, რომლებიც მონაწილეობდნენ ქართული ფილმების რეტროსპექტივაში ლოს-ანჟელოსსა და სანფრანცისკოში. აი რა თქვეს მათ „კომუნისტის“ მოსკოველ კორესპონდენტთან საუბარში.

რ. ჩხეიძე — როგორც ცნობილია, შარმან ინგლისში დიდი წარმატებით ჩაიარა ქართული ფილმების მეტად ფართო მასშტაბის რეტროსპექტივამ. ამ წარმატების რეზონანსის ლოგიკური შედეგი იყო ის, რომ ამერიკელმა კინომოღვაწეებმა თავიანთ ქვეყანაში მიგვიწვიეს და სურვილი გამოთქვეს ასეთივე რეტროსპექ

სიღნაღელები დედაქალაქის გამოწვევებაზე

იუბილეებს მეგობრობის პარკი

გუშინ დილით ვისაც თბილისის აეროპორტისაკენ მიმავალ ტრასაზე მგზავრობა მოუხდა, მარცხენა მხარს უთუოდ შეამჩნევდა დიდ ლაშქარს, ყვეკა ტერიტორიას რომ შეფენოდნენ პარებითა და ნერგებით. გაზაფხულის ალერსიანი მზით გამთბარი მიწა „მწვანე სტუმრებს“ იღებდა — ალვებს, იფნებს, კაკლებს, ვაშლებს, ნაძვებს.

ამ დღეს დედაქალაქის საქარხნო რაიონს ესტუმრნენ სიღნაღის რაიონიდან სოფლის მოწინავე ადამიანები, ინტელიგენციის, პარტიული და სამეურნეო აქტივის წარმომადგენლები. სულ 150 კაცი პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივნის ვ. ქარუმიძის ხელმძღვანელობით.

დღეს აქ საფუძველი ჩაეყარა მეგობრობის პარკს.

მეგობრობის ხიდი ამ რაიონებს შორის ჯერ კიდევ შარშანდელ ზამთარს გიდო. როცა ყინვა სიღნაღელთა ზვრებს დაემუქრა, მაშინ საქარხნო რაიონის ხაწარმოებმა სიღნაღელებს დიდი რაოდენობით მიაშველეს ნახმარი საბურავები ვენახებიხ შესაბოლად.

სიღნაღელებმაც სასიკეთო ხაქმე ითავეს. ორი წლის წინით დედაქალაქში მათ ნერგები ჩამოიტანეს და თავიანთი ქალაქისა და სოფლების ხახელობის, აგრეთვე რაიონში აღზრდილ ცნობილ ადამიანთა ხახელობის ქუჩები გაამწვანეს.

ასე შეემატა შნო და ლაზათი კერძოდ სიღნაღის, ანაგის, მოსაშვილის ქუჩებს, მერე კი სიღნაღელებს მიმდევრები მრავლად გამოუჩნდნენ.

და აი გუშინაც გვერდი-გვერდ შრომობდნენ თბილისის საქარხნო რაიონის ათასობით მუშა-მოსამსახურეები და მათი სიღნაღელი მეგობრები, მათ შორის იყვნენ მაღაროელი კოლმეურნე, სოციალისტური შრომის გმირი მ. ნავროზაშვილი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი, დიმიტროველი მემოტაეე დ. მაზმიშვილი, სარკისა და მექანიკურ ნაკეთობათა კომბინატის მუშა გ. მაზანაშვილი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხნის მუშა მ. გრიშაევა, და ვინ მოოვლის ყველას, ვინც აქ გუშინ იშრომა და 15 ჰექტარ ფართობზე 3 ათასი ნერგი დარგო.

მომავალში მეგობრობის პარკის ფართობი 50 ჰექტარამდე გაიზრდება.

რ. მუხიგულაშვილი.

სურათზე: მარცხნიდან — სიღნაღის რაიონული საავადმყოფოს ექიმი შ. ჯავახიშვილი, მაღაროს კოლმეურნეობის ნევრი. სოციალისტური შრომის გმირი მ. ნავროზაშვილი, ბოდბისხევის სტალინის ხახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ა. ბოქოლიშვილი, ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. გელაშვილი და ვაქირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ნაცვლიშვილი რგავენ თავიანთ ჩამოტანილ ხეხილის ნერგებს.

ბ. ბოგოსიანის ფოტო.

საბავშვო მუსიკის კვირეულზე

ნორჩების ხელოვნება

მოზარდი თაობის მუსიკალურ აღზრდას საბჭოთა კავშირში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ამის დადასტურებაა ოქტომბრის დიდი თარიღისადმი მიძღვნილი. უკვე ტრადიციად ქცეული საგაზაფხულო მუსიკალური ზეიმი — საბავშვო მუსიკის კვირეული, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში გაიმართა.

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ნორჩი მსმენელების წინაშე წარდგა ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი „მაისი“. ამ საინტერესო მუსიკალურმა კოლექტივმა მოკლე დრომი მარტო ბავშვებს სიყვარული კი არ მოიპოვა, არამედ უფროსების დიდი სიმპათიაც დაიმსახურა. ანსამბლის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს მისი მართლაცდა ბავშვური სახე. აქ ვერ ნახავთ დიდებისადმი უგემოვნო მიმმართველობას. ბავშვები სადად, უბრალოდ და გულწრფელად მღერიან იმაზე, რაც მათ აღელვებთ, რითაც ცხოვრობენ, რაც უხარიათ. ამიტომაც არის მათ რეპერტუარში პიონერული სიმღერები, სიმღერები ოქტომბერზე, სამშობლოზე, ხალხური სიმღერები. ისინი ასრულებენ ქართველი და სხვა საბჭოთა, აგრეთვე ევროპელი კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

მშვიდობისათვის ბრძოლა, ომის სიძულვილი, სამშობლოს სიყვარული, მეგობრობა — აი რას უნდა სწავლობდნენ ბავშვები. შემთხვევითი არ არის, რომ ანსამბლის რეპერტუარშია ბარიზოს „თავისუფლების კუნძულის რიტმები“, დუნაევსკის „იფრინეთ, მტრედებო“, ლაღიძის „ოქტომბერი მიაბიჯებს“, თევდორაძის „მოსკოვი“... დარბაზის რეაქცია ადასტურებს, რომ ანსამბლი რეპერტუარის არჩევანში არ შეცდარა.

კონცერტის II განყოფილებაში ძირითადად ქართველი კომპოზიტორების მუსიკა აჟღერდა. შესრულდა როგორც უფროსი, ისე საშუალო და ახალგაზრდა თაობის კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

თბილისის მე-3 მუსიკალური სასწავლებლის ქალთა ტრიომ შეასრულა ვ. ახარაშვილის შესანიშნავი „იავნანა“, კომპოზიტორი ლ. იაშვილი თვითონ იყო პატარა ს. მამარდაშვილის აკომპანიატორი, საესტრადო-საცირკო სასწავლებლის ვოკალურმა დუეტმა შეასრულა ლ. იაშვილის „სიმღერა თბილისზე“.

მსმენელები აღფრთოვანებით შეხვდნენ ს. ცინცაძის ფართოდ ცნობილ მინიატურებს თბილისის მე-3 სამუსიკო სასწავლებლის სიმღერიანი კვარტეტის შესრულებით.

განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ქართველი კომპოზიტორების ახალგაზრდა თაობა თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს საბავშვო მუსიკას. ბავშვთა სამყაროს კარგი ცოდნა იგრძობობდა ე. ლომდარიძის მინიატურებში სიმებიანი კვარტეტისათვის, რომლებშიც იუმორი და მახვილგონიერება სჭარბობდა.

კომპოზიტორ მ. ცერცვაძის რომანსი ვიოლინოსათვის (ძალრული მე-3 მუსიკალური სკოლის IX კლასის მოსწავლემ გ. ვოლკომა) გამოირჩეოდა გამოსახვის უბრალოებით, გულწრფელობით, მოწონება დაიმსახურა აგრეთვე კომპოზიტორ რ. კაჟილოტის ფანტაზიამ ქართულ ხალხურ თემებზე, რომელიც შეასრულა რუსთაველის მუსიკალური სასწავლებლის გოგონათა ანსამბლმა.

ბავშვების წინაშე წარდგა ნორჩი კომპოზიტორი — თბილისი მე-3 მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლე თ. ვაშაკიძე, რომელმაც შეასრულა საკუთარი საფორტეპიანო პიესა.

ბავშვების აღფრთოვანებული სახეები დამაჯერებლად მეტყველებდნენ, რომ მუსიკა ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის განუყოფელი ნაწილია.

ლ. კაკულია,
მუსიკათმცოდნე.

მექანიზატორი ქალიშვილის ბედნიერება

ნინო აბუსერიძის სახელი შარშან გამოჩნდა გაზეთების ფურცლებზე. აბაშის რაიონის სოფელ მარნის მკვიდრმა ქალიშვილმა ტრაქტორისტობა ისურვა, რაც მოკლე ხანში შეასრულა კიდეც. სწავლის შემდეგ მას „ბელორუსიის“ მარკის ტრაქტორი ჩაბარეს.

პირველ ხანებში ცოტა გაუჭირდა, მაგრამ როცა ღრმად გაიგო ამ ტრაქტორის „თვისებები“, კმაყოფილი დარჩა. იგი „ხაქსოფლტექნიკის“ ადგილობრივი განყოფილების კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადაში ჩარიცხეს. ახლა ნინო წითელწყაროელ თანამოსაქმეს თამარ მირიანაშვილს ეჯიბრება.

...მაგრამ ახლახან ნინოს სხვა ბედნიერებაც ეწვია — ახალგაზრდული ოჯახი შექმნა. მისი მეუღლე ქუთაისის ავტომტექნიკუმის მოსწავლე ოლეგ დუნდუა გახლავთ...

— ზეიმის წუთები იყო აბაშის ქორწინების სახლში. ხიძისა და პატარძლის მოსალოცად აქ მოვიდნენ მშრომელები, თანატოლები, რაიკომის მდივნები ი. კოდუა, აკ. ქობალავა, სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანების მუშაკები.

ასე შეხვდა გაზაფხულს ახალგაზრდა მექანიზატორი ქალიშვილი.

ბ. მილიუტინი
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათებზე: ნ. აბუსერიძე თავის ტრაქტორთან. ო. დუნდუა და ნ. აბუსერიძე ქორწინებას აფორმებენ აბაშის ქორწინების სახლში.

ბ. ჯალალანიას ფოტო.

მხატვრის საჩუქარი

ოზი. (საკ. კორ.). თბილისის სამხატვრო სალონის თანამშრომელმა, მხატვარმა შოთა ჩლაიძემ მშობლიური სოფელ ბარის მოკალი ლამაზი ხედი გადაიტანა ტილოზე. ამ დღეებში მხატვარმა რაჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა თავისი ხელით შექმნილი 4.300 მანეთის მხატვრული ნაკეთობანი.

მუზეუმის საგამოფენო დარბაზი დაამშვენა ხელოვნის მიერ შესრულებულმა მანდალმა, დოქმა, გიშრისთვალიანმა ბეჭედმა, უძველესმა სასმისმა — კულამ, ტაბლამ თავისი ოთხი სკამით, არყის სურამ და სხვა ნივთებმა.

□

ხარაჩოები ჩამოხსნეს

ამბროლაური. (საკ. კორ.). ახლადშექმნილ ჭყვიშის სახელმწიფო სანერგე მეურნეობას კარგი სიახლე შეემატა — დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ვაზის გამოსაყვანი თანამედროვე ტიპის სათბური ელექტროსტრატიფიკატორი. ეგი ყოველწლიურად ორ მილიონამდე ვაზის ნერგს გამოუშვებს. ამბროლაურის გარდა სათბური ვაზის ძირფესვი ნერგით მეზობელი რაიონების მოთხოვნილებებსაც დააკმაყოფილებს.

□

დიდი მოგება

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქის მეხუთე საშუალო სკოლის მრომითი სწავლების მასწავლებელმა ნოდარ პლატონის-ძე ბარბაქაძემ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების მოგებათა 1976 წლის მეთორმეტე გამოშვების ლატარიის ბილეთი № 240, სერია 35708, რომელსაც ხედა მოგება აიტომანქანა „მოსკვიჩი“.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲘᲜᲝᲞᲐᲤᲘᲣᲐ

ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲮᲐᲠ

ესტრადის ახალგაზრდა მომღერალი აკმალ ბატროვი შემთხვევით თვალს მოჰკრავს მშვენიერ ახულს, რომელსაც ოცნების ქალიშვილად წარმოიდგენს. ჭაბუკი დაეძებს იდუმალ ახულს და ანვარ ქარიმოვიჩის დახმარებით მიაგნებს კიდეც. მათს ბედნიერებას თითქოსდა არაფერი უდგას წინ, მაგრამ ეშმაკი ქარიმოვიჩი მორგ გამოცდას მოუწყობს გამიჯნურებულ ქალ-ვაჟს...

ეს სურათი მუსიკალური კინოკომედიაა, რომელიც კინორეჟისორმა ანატოლი კაბულოვმა გადაიღო. როლებში არიან: ორაზ ამანგელდიევი, აიდა იუნუსოვა, და სხვ. („უზბეკფილმი“).

ᲤᲣᲜᲗᲣᲨᲐ

კინორეჟისორ ანა სოკოლოვსკას ფილმში პატარა რვა წლის გოგონას, მეტსახელად „ფუნთუშას“ თავგადასავალია მოთხრობილი. ობოლი გოგონა შორეულ ნათესავებთან ცხოვრობდა სოფელში. იგი ბიძასთან ჩამოდის ვოროცლავში. დიდმა ქალაქმა განაცვიფრა პატარა, თანაც ბიძის ოჯახში არც მთლად მეგობრულად შეხვდნენ...

სცენარი ფილმისთვის იადვიგა კორჩაკოვსკამ, ანა სოკოლოვსკამ და იაცეკ კორცელიმ დაწერეს. ოპერატორია იაცეკ კორცელი.

მთავარ როლებში: კატაჟინა დომბროვსკა და დოროტა ორკოშევსკა. (პოლონეთი).

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲬᲧᲣᲠᲕᲘᲚᲘ

ამერიკელი კინორეჟისორი ოლ ვინსენტე მინელის ფილმი — „სიცოცხლის წყურვილი“ ბელგიელი მხატვრის ვინსენტ ვან გოგის ცხოვრების საუკეთესო წლებს გვიხატავს. იგი ღარიბი იყო და მარტო ცხოვრობდა. სიცოცხლეში მხოლოდ ერთი სურათის გაყიდვა მოახერხა. ეს მაშინ, როცა დღეს მის ტილოებში საქმოსნები საარაკო თანხას ითხოვენ...

სცენარი ივინგ სტოუნის რომანის მიხედვით შეიქმნა. ავტორია ნორმან კორვინი. ვან გოგს განასახიერებს კირკ დუგლასი, როლებში: ანტონი ქუინი, ჯიმმს დონალდი, პამელია ბრაუნი და სხვ. (აშშ).





მეგობრები



რომელი ადამიანი არ ესწრაფვის ბუნებასთან სიახლოვეს...

როდესაც ადამიანი უყურებს კაშკაშა მზეს, ლურჯ, მოწმენდილ ცას — მისი თვალი კიდევ რაღაცას ეძებს; როცა ყურს უგდებს ტყის შრიალს, მთის წყაროს რაკრაკს, ან ზღვის ხმაურს — კიდევ რაღაცა აკლია მის სმენას... ეს რაღაცა ჩვენი ბუნების მშვენება — ფრინველებია. მათი გალობა ხომ დედის იავნანასთან ერთად — ჩვენი მუსიკის პირველი მასწავლებელია, მათი ბუდეები — წვრილი ტოტებისაგან, თუ ბალახის ღეროებისაგან, მატყლისა თუ ფოთლებისაგან ნაქსოვი, თიხისა და კენჭებისაგან აშენებული — ხელოვნების ნიმუშებია; მათი სილამაზე, ფერთა ჰარმონიული შეხამება — მხატვრების შთაგონების წყაროა...

ყოველ ადამიანს — დიდსა თუ პატარას — უხარია მერცხლების მოფრენა: თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი ხდება ამ პაწია ფრთოსნის მფრენასთან ერთად ჩვენს ცხოვრებაში. მუშაობასაც ხალისი ემატება. ასევე, შემოდგომით, ფრინველების მასობრივად გაფრენის შემდეგ თითქოს რაღაც გვაკლდება, ჩვენ ამით ქვეშეცნეულად ზამთრისათვის ვემზადებით. ადამიანში სულიერ სინაზეს იწვევს ის მზრუნველობა, რომელსაც ფრინველები იჩენენ მართვების მიმართ. დიდი ინტერესით ვადევნებთ ხოლმე თვალყურს თუ როგორ აქმევენ ისინი პატარებს ჭია-ღუას, როგორ ასწავლიან მათ ფრენას.

დღეისათვის დედამიწის ზურგზე 8616 სახის ფრინველი ცხოვრობს; მათი რაოდენობა 100 მილიარდს აღწევს, მაგრამ როგორ ვიცხოვთ ჩვენ მათ? სულ პატარა მაგალითი: მეცნიერებისათვის დიდი ხანია ცხობილია ფრინველი ფიფუტი, რომელიც სამხრეთ ამერიკაში ბინადრობს; მაგრამ მხოლოდ სამოიდე წელია, რაც აღმოჩნდა, რომ მამრ-ფიფუტი, რომელიც გამოჩეკის შემდეგ ზრუნავს მართვებზე, — ფრთოქვეშ კახის ხაკეცები — ეთო